


გ ვ ა ლ ი



საპოლიტიკო, საპედაგოგო და სალიტერატურო ნახაზებიანი გაზეთი ბაქოსის უძველესი კვირა დღის.

№ 11 მ ა რ ტ ი 9 1897 წ. № 11

შინაარსი: გურულებს მოგზაურობა გამოფენაზე ამერიკაში.—მწით მფლობელობა აფხაზეთში პ. ჭ—ასი.—სტეგა-და-სხვა ამბავი.—„კვადის“ კორესპონდენციები.—პოლიტიკური პარტიები გერმანიაში, (შემდეგი) ნ. უ—იასი.—ჭებათა ჭება, ლექსი ფაუ-ფაშაგლასი.—მხატვარი მხედილ მუნკაჩი.—ჩვენი წერლობა ი, ნ—ქსა.—ხან-და-ხან ჭადარასი.—ცნაველთა შთანჩენის განვითარება, (შემდეგ) ზესი.—უშაგი, (ტიუდე მოპასინსა) გ. საყვარელი-სა—შეცდომის განწორება.—ტირავი და განც.

გურულების მოგზაურობა გამოფენაზე ამერიკაში.



გერ 5 — ნ წელიწადია, რაც ერთი გურულის, ლუკა ჩხარტიშვილის, წინამძღოლობით, ყოველ წლივით 8-9 კაცი მიემგზავრება გურიიდან ჩიკაგოში და ნიუ-ორკში გამოფენებზე. გამოფენაზე ბნ ჩხარტიშვილის ისეთი კაცები მიჰყავს, რომელთაც სიმღერა, ცეკვა და განსაკუთრებით ცხენზე თამაში იციან. თეთთან ლ. ჩხარტიშვილი ცხენზე თამაშობაში ისე დახელოვნებულია, რომ ვერც ერთი ცირკის მოთამაშე ვერ შეედრება და ყველას უცვირს, ასე სოფლათ ამგვარი ცხენზე თამაში, როგორ შეისწავლა ამ კაცთა, უტყობლებმა მას მიანდევს მეთაურობა და დაეაღეს ყოველ წლივით ამოერიჩა რვა კარგი მოთამაშე ბიჭები, გამოფენაზე სა-



გურულების მოგზაურობა გამოფენაზე ამერიკაში.


თამაშოთ. ამ ამბავმა ყველა სოფლის ახალგაზდა ბიჭები ფეხზე დააყენა. ყველამ მოინდომა წაყოლოდა, მაგრამ ეგ ხომ შეუძლებელი იყო, მას მარტო რვა კაცი ჭირდებოდა. ამ 5 — ნ წელიწადში მან 50-მდე




სხვა და-სხვა კაცი წიყენა უტხოვთში და შესანიშნავი ქალაქები დაატარა.

ამ მოკლე ხანში ბ-ნი ჩხატრიშვილი გაემგზავრება ამერიკაში რვა კაცით.

ჩიკაგოში და ნიუ-იორკში, გამოფენაზე ბ-ნი ჩხატრიშვილი ძლიერ გააკვირა ხალხი თავისი ხელოვნური თამაშით, იკატრმა გაზეთებმა დიდი ქებით მოიხსენიეს იგი, და ის და მისი ამხანაგები დახატეს სხვა-და-სხვა ალბომებში.



მიწათ-მფლობელობა აფხაზეთში.

 დევანდლი სოხუმის ოლქი (აფხაზეთ-სამურზაყანო) განიყოვება ოთხ „უქასტებთა“ ანუ ნაწილებათ. აი, ეს ნაწილები: სამურზაყანო (ეიყუყით აღმოსავლეთით); კოდორი, გუმუსთი და გუდაუთი. იმ ადგილებზე, რომლებიც უკავია დღეს სამ უკანასკნელ ნაწილს, ცხოვრებდნენ უფუძეელები დროიდან საკუთრივ აფხაზები. საზღვრათ სამურზაყანოსა და აფხაზეთს შუა (ახლანდ. კოდორის შუა) ითვლება პატარა მდინარე — ანუ უკეთ ვთქვათ — დევე ოხურეა. ოხურედან დაწყებული აღმოსავლეთით მდინარე ინგურამდის, რომელიც საზღვარია საკუთრივ სამეგრელოსა და სამურზაყანოს შუა, მდებარეობს სამურზაყანო. დასავლეთით ოხურედან იწყება აფხაზეთი, იმ ნაწილს აფხაზეთისას, რომელიც დასავლეთით საზღვრავს სამურზაყანოს და რომელიც მდებარეობს ოხურეგასა და მდ. კოდორს შუა, მეგრელები უწოდებენ აბჭუქას, აღმინისტრატულით კი ჰქვია კოდორის ნაწილი. ხოლო თვით ამ ნაწილის მცხოვრები აფხაზები თავიანთ თავს (და არა თავის ქვეყანას), უწოდებენ აბჭუქა. ეტიმოლოგია ამ სიტყვისა, ჩვენ აზრით, უნდა ნიშნავდეს: შუა-მცხოვრებლები, სიტყვა სიტყვით შუა-ადამიანები (ნახევარი ადამ-ანები!) (აფხაზ. აბჭა-ნახევარი, აბჭა-რა-შუაში; აბუა — კაცები, ადამიანები). ასეთი სახელი შესაძლოა იმიტომ დარქმეოდეს ამ მხრის მცხოვრებთ, რომ ისინი, მცხოვრებნი, საკუთრივ აფხაზეთსა და სამეგრელოს შუა, არც წმინდა აფხაზები იყვნენ და არც ნამდვილი მეგრელები, ზოგიერთი ადგილ-მდინარე სახელწოდება ამტკიცებს, რომ ეს მხარე უწინ მეგრელებს უნდა სჭკროდათ. ახლა კი ძირითადი მცხოვრებლები „აბჭუქისა“ აფხაზები არიან, თუმცა მათში ახლათ ჩასახლებულ მეგრელებსა რიცხვიც დიდია.

სამურზაყანოელები კი იგივე მეგრელები არიან, თუმცა ეს ბევრს არა ჯერა. ენა, ეს უმთავრესი ნი-

შანი ერთგობისა, ამტკიცებს ამას. მთელ სამურზაყანოში მეგრულათ ლაპარაკობენ. იმის დასავლეთ ნაწილში, უფრო მთა-გორიან ადგილებზე, აფხაზურიც იცინა. ხოლო სამურზაყანოს შუა და უფრო აღმოსავლეთ ნაწილში აფხაზურისა არა გავრცობილა სრულიად. პროფეს ბ. ა. ცაგარელი სრული სინამდვილით აღნიშნავს მეგრულ ენის დასავლეთ საზღვრათ მდ. ოხურეგას, სამართლიანათ უკლებს, რომ იმის გაღმაც (დასავ. ილორში, ბესლახუბაში) იციან მეგრულითა.

ახლა ხომ მეგრულის ცოდნა აფხაზეთში (უფრო კოდორის ნაწილში ანუ აბჭუქაში) მეტის-მეტ სიჩქარით ვრცელდება. იმისთანა სოფლებში, სადაც მეგრულის მკოდნეს ამ 15-დე წლის წინეთ სანთლითაც ვერ მოაძენიდი, დღეს მეგრული ძრიელ ბევრმა იცის. ახლაგაზღაპამ, განსაკუთრებით თავად-აზნაურობამ, ცოტათ თუ ბევრათ, თითქმის ყველამ იცის იგი.

მაკრამ მიწათ-მფლობელობა აფხაზეთშია, რომ ეამბობთ, აქ ჩვენ სამურზაყანოც უნდა ვიკულისხმოთ, რადგან ამ მხრივ მათში გარჩევა არაფერი არ არის და მთელ სოხუმის ოლქში, ძირეულ მცხოვრებთა შორის ერთ-გვარი წესწყობალებმა მიწათ-მფლობელობისა.

და საზოგადოათ სხვა მხრივაც აფხაზეთის განშორება და განყოფა არათუ სამურზაყანოსაგან, არამედ სამეგრელოსა და, მაშასადამე, საქართველოსაგან ჩვენ დიდ შეცდომათ მიგვაჩნია. იგივე ყოფა-ცხოვრება, იგივე ზნე-ჩვეულება, იგივე ჩვეულებრივი მშობლ-მსახურება, იგივე სარწმუნოებრივი — ანუ უკეთ ცრუ-ძირწმუნეობრივი და ევრა-თავიანის ცემის დროის — შეხედულმდანი ძრიელ აახლოებენ ერთმანეთთან აფხაზებსა და მეგრელებს. თითო აფხაზური ენაც, უმეტელია, მონათესავეობს ქართულ ძირ-ენასთან. ასე რომ აქაჩებულნი მსჯელობა უსაბუთოთ აქეთ გამოთქმული იმ მეცნიერთ (სამწუხაროთ ზოგიერთ ჩვენიანებსაც), რომლებიც ამბობენ, რომ აფხაზთა ენას აჩავეითარი კვშირი არა აქვს ქართულთანაო. მაკრამ დროა გადავდეთ ჩვენ პირდაპირ საკანზე.

ყოველდღეც პირველათ რუსი მოვიდა ჩვეთთანაო, მოვიდნენოვებენ აფხაზი გლეხები და დავეკითხა: ეისი იყო, თქვენი თუ თავად-აზნაურობისა, ის ადგილ-მამული; რომელზედაც თქვენ მოსახლობთ და რომლითაც სარგებლობთო? ჩვენ ვუპასუხეთ: დედა-მეწა, ადგილი — დემრთმა ადამიან-სათვის გააჩინა, არც ჩვენი საკუთრება იყო იგი და არც თავად-აზნაურობისა. იგი ყველა ლუთის გაჭინოა ადამიანს ერთგვარათ ეკუთვნოდა. რაკ ასეთი ლუთის გაჭინილი ქვეყანა დაეინახეთ თავისუფალი, ჩვენც დაგვაგებთ

იგი, თავდაზნაურებმაც და ყველანი ზედ დაე-
სახლეთ. ადგილისათვის, მიწისათვის არავითარ
დალას, არავითარ გარდასახადს ჩვენ თავდაზ-
ნაურობას არ ვაძლევდით. მართალია, ჩვენ ცოტა
რამეს კი ვხვდით მათა სასარგებლოთ, ბევრს კი-
დეც ემსახურებოდით თავდაზნაურებს, მაგრამ ეს,
მიწის გულისათვის კი არ იყო, არამედ იმ ზედამხე-
დველობისა და მფარველობის გულისათვის, რომელ-
საც ისინი გვიწვედნენ ჩვენ ცარცვა გლეჯისა და
მტაცებლობის დროს. როცა პირველათ დაეცითა
რუსი აგრეთვე მეგრელ გლეხთა, ამ უკანასკნელთ
უპასუხეს: „ჩვენც თავდაზნაურთა ყმები ვიყავით და
ადგილ-მამულიც, რომლითაც ესარგებლობდით, იმა-
ნა საკუთარი მიწა იყო“. აი, ამიტომაც მიწა ჩვენ სა-
კუთრებთ მოგვეცა, მეგრელებს კი არა და ისინი
იძულებულნი არიან „ნადელით“ (მოსავლის ერთი
ნაწილის ძლიერით) სხვის (თავდაზნ.) მიწაზე იმუშა-
ვიანო“. ასე მოგვიტხოვრებენ აფხაზები კვეხნით, სა-
ფიქრებელია, რომ მესამოცე წლების იდეებითა აღზ-
რდნილი რუსის მოხელენი, თავის ქვეყნის „Община-თი“,
საერთო მიწა-მფლობელობის წესით რამაც კებულნი,
მოწადნებულნიც ყოფილიყვენ, რომ ესეთი წესი
ჩვენ ქვეყანაშიაც შემოვიღოთ. მაგრამ შეგაძლებე-
ლია, თავდაზნაურობამ, როგორც უფრო მკოდ-
ნემ, შორს მჭერტელმა და გაველენიანმა წოდებამ, ის
ათქმევინა გლეხობას სამეგრელოში, რაც უფ-
რო მისთვის — თავდაზნაურობისათვის, და არა
გლეხობისათვის — სასარგებლო იყო. ასეა თუ ისე,
დღეს ერთგვარი მიწათ-მფლობელობის წეს-წყობი-
ლება აფხაზეთში, მთელ სოხუმის ოლქში, — და
სრულიად სხვა გვარი — დანარჩენ საქართველოში.
შემდეგისთვის ნურას ეიწინასწარმეტყველებთ და აწ-
მყო დროისთვის კი, რაც უნდა ნაკლულეყანება ჰქონ-
დეს, სწორეთ ის საადგილ-მამული წეს-წყობილება
უმჯობესია, რომელსაც ეხედათ აფხაზეთში.

მთელი აფხაზეთ-საპურზაყანო, ანუ სოხუმის
ოლქი, მხოლოდ ერთი გუბნიის ნაწილის გამოჩი-
ცხვით, რომელზედაც შემდეგ მოგახსენებთ, დაყოფი-
ლია „ომზინის“-ებათ. თითოეულ „ომზინის“ (ეიხ-
მართ ამ სიტყვას მეგრ. გამოთქმით) თავისი ადგილ-
მამული, თავისთვის მიჩენილი და მიმოიჯნული
აქვს. შესაძლოა ორი „ომზინის“ მცხოვრებნი
ადმინისტრაციულათ ერთ საზოგადოებას შეადგენ-
დენ, ერთი მამასახლისი ჰყავდეთ. მაგრამ ერთი
„ომზინის“ მცხოვრებთ მეორე „ომზინის“ ადგილ-მა-
მულზე არავითარი უფლება არა აქვთ. უფრო კი
ისეა დაყოფილი, რომ ერთი „ომზინა“ იმავე დროს
ერთ საზოგადოებას შეადგენს. „ომზინის“ შიგნით
თითოეულ წევრს „ომზინისას“, თითოეულ ცალკე

მოსახლეს, de jure ერთი და იგივე უფლება აქვს
„ომზინის“ მიწაზე. სახანჯ-სათესით, სამოსახლო, სა-
ეზო და სასაღმრთლო ადგილით თითოეული კომლი სარ-
გებლობს, იმითი რითაც წინეთაც უსარგებ-
ლია. ამაზე ზედ მეტეც მიწა, „ომზინაში“ რაც არის
ითვლება „ომზინის“. ე. ი. საზოგადოთ, და ამა-
ზე ყოველ მოსახლეს ერთგვარი უფლება აქვს კა-
ნონით. თუ ესეთი „საომზინა“ ადგილთა ტყინია, იქა-
დან ყველას გამოაქვს ხე, შებენ, ფიჩხი, მესრები და
სხვ. ამიტომაც დაესიენ ტყეებსა და უწყალოთ ანა-
დურებენ ერთი მეორის ჯიბრზე. „ომზინის“ ადგი-
ლების მწველები და ზედამსუდველები არიან ამორჩეულ-
ნი და დაყენებულნი, მაგრამ ესენი ყოველთვის თვალი-
ყურს ვერ ადვენებენ თითოეულ მცხოვრებელს,
რომ „ომზინის“ მიწა არ „გაოხრონ“. კანონით —
საზოგადოების განაჩენით და მომროგებელ შუამაქა-
ლის ნებართვით უნდა მოქრან ხეები.

აგრეთვე თუ საბალახა ადგილებია, იქაც ყვე-
ლანი ერთგვარათ აძოვებენ თავის საქონელს. სახ-
ნაე-სათესი და სხვ. მიწა, რომლითაც სარგებლობს
რომელიმე მოსახლე, თუ ვერ არჩენს მის ოჯახო-
ბას, შეიძლება მოეჭრას მას მიწა „ომზინის“ და მი-
ეცეს. ყველა წევრს „ომზინისას“, ვინც უნდა იყოს
იგი, თავდაზნაური თუ გლეხი, როგორც მოკახსე-
ნეთ, ერთგვარი უფლება აქვს „ომზინის“ მიწაზე. ეს
დღეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველანი უმეტრად კლათ,
ერთნაირათ (გაგას სუფას რაოდენობის კვალობაზე
ოჯახში) მიწის მზრივ უზრუნველყოფილიყვენ. თავდა-
ზნაურობას, რაც უნდა იყოს, მეტი მიწა უკავია „ომ-
ზინაში“ აგრეთვე მოაგერთ გლეხებსაც. მთლიან ტყუ-
ილს არ ამბობს ბ. რიბინსკი, როცა წერს: „განა-
წილება მიწათა ამ „ომზინიკებში“ მეტის მეტათ
არეულ დარეულია; ვინც უფრო მძლავრია, ის
უფრო დიდსა და უკეთეს მიწის ნაჭერსა ჰჭობს“¹⁾.
მთლიან უმიწო, მოგანო გლეხი, მართალია, აქ
მოიძებნება, თუ ვინმე მეტათ შეიწირავდეს
და შეწუხებულთა უმიწა-წყობითა, ეს იმას
ნიშნავს, რომ იმას თავისი, კანონით მისდამი
მინიჭებული უფლებით ვერ უსარგებლია, რომ
იგი უფრო მძლავრ და გაველენიან პირთ დაუ-
ჩაგრავთ. მოკლეთ რომ მოეკრათ, აფხაზეთში „ომ-
ზინურის“ მიწით მფლობელობა (Общ. вл.)

აქ საჭიროა აღვნიშნოთ შემდეგი: მთელი სა-
პურზაყანო და მხოლოდ ორი საზოგადოება — (ილია-

1) „Сухумский Оагургъ. Абхазія въ сельскохозяи-
ствен. и бытовомъ отношеніи. Докладъ „предсл. къ
нему Г. А. Рыбинскаго въ ИМПЕРАТОРСКОЕ Кавк.
Общ. Сельск. Хозяйства“. გვერ. 17.

რისა და ფოქვემისა) — კოდორის ნაწილისა ითელვე-
ზიან სახელმწიფოს ერთგულებათ უკანასკნელ რუს-ოს-
მალთა ომინაობას შემდეგ. დანარჩენი აფხაზეთი და-
მნაშავეთ ცნობილია. „ისტორიულ სიმართლეს რომ
მივდევდეთ, ამ პოლიტიკურ დაუღვრამდობაში, ბრა-
ლი მართა აფხაზებს არ ედებოა“, სამართლიანათ
ამბობს იგივე ბ. რიბინსკი.

ამ მიზეზის გამო ჯერ-ჯერობით მხოლოთ სა
მურზაყანოს და შემოსსენებულ ორ საზოგადოებას
აფხაზეთისას აქეთ სრული საკუთრების უფლება თა-
ვიანთ ადგილ-მამულზე. ამათ კიდევ უმიჯნავენ მი-
წებს საკუთრებათ. დანარჩენი აფხაზეთი — შემოსსენე-
ბულ ორ საზოგადოებათა გამორიცხებით, მხოლოთ
სარგებლობს თავის მიწა-წყლით. ეს კიდევ არაფერი,
ოღონდ თითოეული წვერი, „ობშინას“ თანასწო-
რათ და რიგინათ სარგებლობდეს თავის უფლებით
„ობშინაში“. გაყიდეთ კი „ობშინის“ ფარგალში
ჯერ არავის არა აქვს ნება მიწის გაყიდვისა. არც სა-
მურზაყანოში და არც აფხაზეთში.

ბ. კ. — ა.

(შემდეგი იქნება)

სხვა-და-სხვა ამბავი.



ონლონიდან ატყობინებენ ვაზ. „Ноб. Вр.“-ს,
რომ შავი ჭირი ბომბეიდან (ინდოეთი) უკვე
ბელუჯისტანისა და ავღანისტანის საზღვრებზე
გადასულა და ჩრდილო-დასავლეთისაკენ მიგრირება.
რუსეთის საზღვრამდე ავღანისტანი აქვს ამ საშინელ
ჭირს გასავლელი. ჩვენი ქალაქის სასანიტარო რაზმი
კი მხოლოთ დღეს იწყებს თავის მოქმედებას.

ამ ცოტა ხანში წერა-კითხვის საზოგადოება
დაიწყებს ქართლის ცნობების მარამ დღოფლის
ფარიანტის ბეჭდვას. აღწვევ გაიმართება ხელის მო-
წერა, რომ დაეძვედა არ დაპროდდეს მატერიალუ-
რი მხრივ.

გასულ წელს გარდაცვალებულ თავ. პორ-
ფილენ იოსების ძეს ბარათაშვალს, თბილისის სათა-
ვად-აზნაურო სკოლისათვის უანდერძებია ოთხი ათა-
სი მან... ამ ფულის სარკებელი ერთ ღარიბ შე-
გორდის აღზრდას უნდა მოხმარდეს. ერთი ამდენი

განსენებულმა თბილისის კადეტთა კორპუსსაც უან-
დერძა, ბარათაანთ გვარიდან ერთ და ერთი ყმაწვი-
ლის აღსაზრდელათ. თუ კი ამ გვარეულობიდან არა-
ვინ იქნა კადეტთა კორპუსში, ფული ისევე იმ სას-
წავლებელში ვინმე ღარიბი ქართველი შეგირდის
აღზრდას უნდა მოხმარდეს. სიამოვნებით აღვნიშნავთ
განსენებულთ თავადის კეთილ გულ-უხეობას. ამის-
თანა მავალითები ძვირია ჩვენ ცხოვრებაში და იმის
მომასწავებელია, რომ ჩვენ შიაც იღვიძებს გრძობა
ნათელი, ბედისგან დაჩაგრულთადმი წრფელი სიყვარ-
ული და საქმითაც ცხადი ნაყოფი მოაქვს.

ვაზ. „ივერიაში“ დასტამბული ღმერთიდან კო-
რესპონდენცია მწარე ფიქრთა წყაროა. „იქაურს ერ-
თათ-ერთ სკოლას, რომელიც დაარსებულა ორის
მავრის (ღმერთისა და თიანეთის) მცხარებთათვის,
ღმერთოების დაუდევრობით ლამის არის ქე-
რი ჩამოექცეს და ქვეშ მოიტანოს სკოლაში მყოფ-
ნი. სკოლის შენობის ქერის თითო კოკს ორ ორი
ბოძკინტი უდგია, რომ თავ ბოლო მომპალი და და-
ფუტუნებული კოკები არ ჩამოცივდეს და იქაურე-
ბი არ გაელოტოს“. აი ქალაქ ღმერთის უწყუარჩ
სურათი. აქედან ცხადათ ჩანს, რომ ქ. ღმერთში
საზოგადო საქმეც ვარგთვე თავ ბოლო მომპალია
და საცოდავი ბოძკინტები უდგია, რომ სულ არ ჩა-
მოექცეს და დეიწყების მორევეში არ მისცეს თავი.
ვაზა, ღმერთებუბო, ვაზა თქვენ ძილსა და უდარ-
დელობას!

ბათუმიდან სწერენ ვაზ. „ივერიას“: 3 მარტს,
ნაშუადღეის მეორე საათზე, გავიდა იქიდან საფრან-
გეთის ცეცხლის გემი „სლინია“, რომელმაც წაიყვა-
ნა საბერძნეთში ბერძენთა ჯარის-კაცნი. გემის ბაქა-
ნი ახალგაზდა ბერძნებით იყო სასეც, რომელიც
სამგორო ლქმსებს ჰვალობდენ. „ვაზა“-ს და გაუმარ-
ჯოს საბერძენთას“. ძაბლის დასარული აღარ ჰქონ-
და, ხალხი დღათ აღვლებული იყო. იტალიის და
სხვა გემებზე მუწვენ ბარალები ამართეს პატრის-
ციმის ნიშნათ, ამას გარდა რამდენჯერმე დაცო-
ლეს ზარბაზნები. ბათუმის პოლიცემისტერი და გუ-
ბერნატორის თანაშემწე ავიდენ გემზე, დაულოცეს
გზა ახალგაზდა მეომრებს და საბერძენთს გამარჯვე-
ბა უსურვეს. აუარებელი ხალხი ვაჟევა ნაგებთ ამ
ცეცხლის გემს რამდენამე ევრის მანძილზე.

წერა-კითხვის საზოგადოება მართავს სოფ. გო-

გარეთს სამრევლო სკოლას. ეს იქნება პირველი სამრევლო სკოლა ამ საზოგადოებისაგან გამართული.

* *


ღროებით მიძინებულმა კახეთის რკინის გზის საქმემ ისევ გაიღვიძა, ვაზ. „Кавказ“-ის სიტყვით შპ ათასი მან. კრედიტა გადაწყვეტილი მთავრობისაგან მომავალი კახეთის რკინის გზის გამოსაკვლევათ. ეს ფული გზათა სამინისტროს არა ჩვეულებრივ ხარჯთ-აღრიცხვაშია შეტანილი და კავკასიის რკინის გზის მართველობას კიდევაც აუწყეს ეს გარდაწყვეტილება.

* *

ვაზ. კავკაზს ატუობანებენ, რომ საქარის სანერგეს ახლა ბევრნი თხოვენ ფილოქსერის ამტან ამერიკული ვაზის ნერგებს. მთხოველი 390 კაცამდე ყოფილა: 68 თავდა-ზნაური, 23 სასულიერო წოდებისა, 8 ვაჭარი და 291 გლეხი. მთხოვენი 421260 ძირი ვაზი დაუჩივდებათ.

* *

ერთი ახალგაზდა კაცი თარგმნის რუსულიდან, ახალ-გამოცემულ წიგნაკს — „Народныя переписи“ (სახალხო აღწერილობანი) და „სტატისტიკის მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა“, ლ. ზაიკისა. გეტხოვს გამოეცხადათ, რომ სხვამ აღარ დაჰკარგოს ამაზე შრომა და არ გადათარგმნოს.



„სკვალის“ კორესპონდენციები.



უთასი: უფასო სამკითხველო და წიგნთსაცავი, განსვენებული გაბრიელი ეპისკოპოსის სახსარგოთ დაჩრდილო, დიდათ სასარგებლო აღმოჩნდა მდამბია ხალხისთვის და განსაკუთრებით ნოქრებისთვის. დიდი თუ პატარა დიდი ხალხით მისწრაფებს მისკენ, როგორც კი იზოვის მცირე თავისუფლებას „წიგნთსაცავი ჯერ-ჯერობით პატარაა, მაგრამ ხალხს მაინც აკმაყოფილებს“ ეს პირველი ნაბიჯია და შემდეგ, იმედია, წიგნთსაცავი ბევრს შეიმატებს, ხალხსაც უფრო მეტს მიიზიდავს და საქმე წინ წაიწეოს. ამ სასიამოვნო მოკლენას ერთი უბრალო მიზეზი ხელს უშლის: ქუთაისში მთავრობის განკარგულებით კვირა უქმე დღეებში მალაზიები უნდა იქნენ გლეხებში მხოლოდ 12 საათიან რ

საათმდე; აქ კი ჩვენდა სამწუხაროთ, დილოსაც ყველგან ვაჭრობაა გზაზედული და საღამოზედ, ხანდისხან რეა საათმისსაც არ შეწყდება სოლმე. წიგნთსაცავი კი რეა საათზე იკეტება და ნოქრები მოკლებული არიან წიგნებსა და სულის საკვებს არ იქნება ურიგო, რომ მათ მდგომარეობას ყურადღებას მიაკციებდნენ იქ, სადაც ჯერ არს.

რასი - ტა.

* *

სოფ. სოფი (რაჭის მაზრა), სოფელი სოფი დაბა ონიდან დასავლეთის მხარეზე ძვეს, ათი ევრისის მანძილით მოშორებული, მდ. რიანის ქალაში. ამ სოფელში დგას ძველის ძველი ეკლესია, რომელსაც სახელათ ჯვარი მონასტერი ეწოდება. ეკლესიის აღმოსავლეთის და სამხრეთის კედლებზე არის დღესაც შესანიშნავი ძველი მხატვრობა. აღმოსავლეთის კედელზე დახატულია დიდის სახით შოშიტ ერისთავი; სურათს ქვეშ შემდეგი წარწერა აქვს: რაჭის სხვათა უფროსი ერისთავი შოშიტ. სამხრეთის კედელზე კი შოშიტ ერისთავის შეილები არიან დახატულნი და მრავალი სხვა იმ დროის წარჩინებული პირნი. საუბედულოთ დასავლეთის და ჩრდილოეთის კედელი სიმეფისა გამო წასულ წელს გამოუცვლიათ: იმ კედლებზედა თურმე სურათები ყოფილან თავისი წარწერებით. ეს ის მონასტერია, სადაც თამარ ბატონიშვილის საღმრთო სწავლა მიუღია. აქედან რომ წასულა, მუხათ გვერდში შალვა ერისთავი გაუტენია.

ამ სოფლის უნაგარო მოღვაწე დღეს მამა ონისიმე მინდელია. მან მიანება ქალ. ქუთაისში ცხოვრებას თავი და მოუახლოვდა ისევ თავის საფელს. ეს პატიოსანი ადამიანი დროზე მიხედა, რომ მის სოფელში სამკალა კვი ხნის შემოსული იყო, მხოლოდ მომკალი კი არენ ჰყავდათ. მოვიდა თუ არა, ჩააკონა გლეხებს, რომ აეშენებინათ სკოლა. დიდი ხეწნის შემდეგ გლეხებმა ააშენეს ორი ოთახი, თითონ ონისიმემ თავის ხარჯით გააკეთა შეგირდებისათვის სტოლები, სკამები და სკოლის ყოველი იარაღი. მოაკროვა საძღენიმე მოსწავლე და დააწყო უსასყიდლოთ სწავლება. ონისიმეს ცდას ამათ არ ჩაუღლია. რა კი გაიგეს გლეხებმა სწავლის გემო, ერთმანეთს ჩააკონეს, სკოლაში შეილებს თუ არ შეიყვანთ, სოფელი აღარც კირში და აღარც ოხნიში აღარ მივიკარებთო. ასე და ამ რიგათ ორ სამ წელიწადში სკოლა სულ მთლათ გაიგა „შეგირდები და მას აქეთ ისევ უსასყიდლოთ შრომობს ეს პატიოსანი ადამიანი.

ვანო ჭიჭინაძე.



სად. შორაშანი. 29-ს წარსულ იანვარს აქ ერთი უბედურება მოხდა. ვარ. რევიაზიშვილი, ქიათურის შტოზე კონდექტორი, სასიციდლოთ დასკრა ერთმა ბოროტ მოძღვრებამ მეპატრონე. რევიაზიშვილი იმ დღეს სამსახურიდან დაბრუნდა თავის ბინაზე და იქ მოუწყვეარი სტუმრები დახედენ: მეპატრონე ნიკო ხოჯაია და ვილაც ცუდი ყოფა ქცევის ქალი. რევიაზიშვილის არაზრიათ ეპაწინკა იმათი დანახვა და თხოვა ოთახიდან გასულიყვენ. მეპატრონე, მისი კანონიერი თხოვნის შესრულების ნაცვლით, იმიშვლა ხანჯალი და რევიაზიშვილი მძიმეთ დასკრა ოთხ ადგილას. საბრალოს წილები გადმოუციედა, ხელში ეჭირა და ვულ საკლავი სიტყვებით ხალხს შეეღას ემუდარებოდა. ამხანაგებმა დიდი თანაგრძობა გამოუცხადეს: გაიგეს თუ არა ეს ამბავი, მოციედენ მისაშველებლათ, ჩქარა მოძებნეს ვათქმული სოფლის ექიმი, ეიქ. თურმანიძე, რომელმაც ხელოვნურათ ჩაულაგა ვადმოციენული წილები საკლავს და ამოუყვრა კრილობები. დაქრილი თბილისის საეთამყოფოაში გაგზავნეს და იქ საწყალობა 19 წლის ჰაბუკმა განუტყვა სული. მკვლელი დაპატიმრებულია და საქმე სწარმოვს.

დ. კ. კვიციანი.



სად. შორაშანი. ვასული თვის დამლევს მე ჩამოვაგდე ჩემ ამხანაგებში ბასი იმის შესახებ, რომ შეეგეკრთეებინა ფული, ვისაც რამდენი შეეძლო, და დაეციეკეთა საყმაწვილო ყურნალი „ვეჯვილი“ ღარიბ სოფლის სკოლებისათვის. სიტყვა რომ ვაეათაე, ყველამ დიდი სიამოვნებით გამოაცხადა სურვილი და მაშინათვე ხელის მოწერაც ვაეპარეთ. ნახეგრ საათის განმავლობაში ერთი თუმანი შევაგროვეთ, რომელსაც ამასთანავე ეუგზავნით „ვეჯვილის“ რედაქციას.

უმორჩილესათ ვთხოვეთ, ქ-ნო რედაქტორო, თქვენ პატივემულ ყურნალ „ვეჯვილის“ საშუალებით უკუვლითადგის მადლობა გამოუცხადოთ ქვემოთ აღნიშნულ პირებს.


სია შემომწირველთა: ერთი მანეთი დ. მეტრეველი, სამი აბაზი იო. ნადირაძემ, ათათი შაურია: ბ. ებანოიძემ, ლ. კუპრაშვილმა, პ. ნასიძემ, ორაორი აბაზი: გ. საყვარელიძემ, გ. ჯავახიძემ, ექვნი შაური: გ. აბესაძემ, ზუთა შაური: ნ. ჩხეიძემ, რ. ვაჭანილაძემ, ნ. ყორბესაშვილმა, ი. ცქიტიშვილმა, ე. ახრახაძემ, თ. ნადირაძისამ, თითო აბაზი: ე. მაჭუავარიანი, მიხ. ანრაზაძემ, ირაკ. კაპანაძემ, ლ. კვიციანი,

ბ. მაღლაკელიძემ, კ. კახიანიშვილმა, ქ. ცისკარიძემ, შ. ვახაშვილმა, რ. ქადაგიძემ, გ. ჰაქეტიანიძემ, ს. კალიანაძემ, გ. თხალაძემ, იაკობ კაპანაძემ, ი. ქაბუჭაძემ, ე. სანიკიძემ, ე. აბესაძემ, გ. ცქიტიშვილმა, გ. გოგოლაშვილმა, ე. გოგოლაძემ, მეღ. ახრახაძემ, სამ-სამი შაური: კენო ნადირაძემ და ი. მაჭუავარიანი სულ 10 მ.

ვთხოვეთ უგზავნოთ ყურნალი „ვეჯვილი“ ამ 1897 წლის განმავლობაში შემდეგ სკოლებს: შორაშანის მხარაში სოფ. საქარის სასოფლო სკოლას და სოფ. ოზნას-დიმის სკოლას.

ილიკო ნადირაძე.

სად. მარტოთუხანი.



პოლიტიკური პარტიები გერმანიაში.

(გუშინ და დღეს).

წერალი შკოტაძე *)

პარტიათა გამოარკვევა და პარტიათა ბრძოლა.



ხლა შევედგეთ ისევ ამ ორპიროვან პოლიტიკის შესწავლას, ენახათ ეს ორთავიანი არსება როგორ მოძრაობს, რა აცოცხლებს, რით იკვებება და შეიძლება აქედან ისიც გამოვიყვანოთ, თუ მას რა ზოლო მიეღოს.

„სახლი სხანა“.

კონსერვატორთა ბატონობა და მათი უმოწყალო ძალ-მომრეობითი პოლიტიკა ვაგძელდა ათ წელიწადს, ეს დრო არის დრო პოლიტიკური რეაქციისა. მაგრამ ამასთანავე დრო ეკონომიური განვითარებისა და დიდი ინდუსტრიის (მრეწველობის) აღორძინებისა. ბურჟუაზიის ქონებრივმა ძალ-ღონემ უმაღლესათ იპყნა და სახელმწიფოში საპატიო ადგილი დაიჭირა. აღებ-მიცემობის და ეკურობის წარმატებამ ერთი მოძრაობაში მოიყვანა, ხოლო მემამულენი დავალიანა და ქონებრივთ უკან დაწვიან. ამ ვარემოვებამ ახალი კითხვა წამოაყენა: მთავრობამ მემამულეთა თუ ამ ბურჟუაზიის პოლიტიკა ვაიხადო-თავის პოლიტიკათ? მეორის მხრით, რეაქციონულ სამინისტრომ დასცა ხალხის ყოველივე გონებრივი და პოლიტიკური წარმატება, რამაც დიდი უკმაყოფილება გამოიწვია არა მარტო პრუსიაში, არამედ მოაწინავე სახელმწიფო-

*) ის. კვლევა № 10.

ემზია. ამნაირათ, მომხადდა ნიადგი კონსერვატორთა ბატონობის დაღწევისათვის და უფრო რიგიანი მდგომარეობის ჩამოგდებისათვის. 1858 წ. მოხდა სახელმწიფოში ცვლილება; მფეუ გავიქდა და ცოტა ხანს შემდეგ გადაიქცა. მის მემკვიდრე ვილჰელმმა, როგორც კი ტახტზე ავიდა, კონსერვატიული სამინისტრო დაითხოვა და შეადგინა ზომიერ ლიბერალთა სამინისტრო. აი ამ ხანას დაერქვა: „Neue Aera“—ახალი ხანა.—კონსერვატიკები გადადგნენ ოპოზიციიში და თავიანთ დროშას დააწერეს: „ენერგიულათ დავიკვათ ძველი სამინისტროს მიერ შემოღებული წყობილება, ნუ გაეწყვეტთ კავშირს წარსულთან“, აირა სათაურით გამოდიოდა მათი პროკლომაციები (მოწოდების ქალაქი ხალხის მიმართ). ლიბერალთა თავის მხრივ რამდენიმე მოთხოვნითა და წამოყენებით, რომელთა შორის საყურადღებოა: არჩევნების თავისუფლება, მინისტრთა პასუხის მგებლობა, პროცესის, მასხრის და სოფლის საზოგადოების თვით მართებლობა, ეკპობის და ხელობის თავისუფლება და სხვა. დემოკრატები, როგორც განსაკუთრებით პარტია, აღარ გამოსულან. მათა მეთაური, შულტე-დელირი, ამას ასე ხსნის: დემოკრატთა გამოსვლით რევოლუციის მომხრეთა შორის განხეთქილება ჩამოვარდება და შეიძლება ისევე კონსერვატორთ ჩაუვარდეს ხელში სამინისტროცო. ამიტომ ისინი შეუერთდნენ ლიბერალთ და ამ პარტიას ეწოდება შემერთებული ლიბერალები. ახალ არჩევნებზე კონსერვატორები დამარცხდნენ. არჩეულ იქმნა 26მ ლიბერალური სამინისტროს მომხრე, 57 წინააღმდეგე, ამას გარდა 18 პოლონელი¹⁾ და 14 „გარეულნი“ ე. ი. ისთნი, რომელნიც არც ერთ პარტიას არ ეკუთვნიან.

ამ სახით ლიბერალები დაეპატრონენ მართვამეკობას. მათი პროგრამის განხორციელება შესაძლებელი შეიქმნა. მარა შესარულეს კი თავიანთი მოვალეობა? არც ერთი მუხლი მათი პროგრამისა არ განხორციელებულა, არც ერთი რეაქციონური რევოლუცია არ გაუქმებულა. ლიბერალური სამინისტრო მხოლოთ სავაჭრო საქმეებს აწეობდა, პოლიტიკა კი ძველებურ კვალში მიჰყავდა. აჰან დაბადა დემუტატთა შორის განხეთქილება და ხალხში უკმაყოფილება.

¹⁾ პოლონელები პრუსიის პოლონიის წარმომადგენლებიან. ისინი განსჯიერობით პოლონეთს ინტერესს იტყვენ და მღე მომჭოვობის პოლიტიკას ებრძვიან. მათი პანდემონტალური მოქმედება ხან მთავრობის სასარგებლოდ, ხან მთავრობის წინააღმდეგე. ეს დამოკიდებულია იმისაგან, თუ მთავრობა როგორ ემყრობა პოლონელთ.

ბა. მოწინავე ლიბერალები და დემოკრატები შეიკრიბნენ (9 იუნის 1861 წ.) პროფ. ვინხოვის თავმჯდომარეობით და ახალი პოლიტიკური პროგრამა შეიმუშავეს აი ზოგი მსულები: გერმანიის გავრთვნება პრუსიის წინამძღოლობით და ერთი გერმანიის პარლამენტს და არტა, მინისტრთა პასუხის მგებლობა, წოდებრივი განსხვავების მოსპობა, სარწმუნოებათა თანასწორობა, სავალდებულო სამოქალაქო ქორწინება, პროცესების თვით-მართებლობა, სახელმწიფოსაგან ეკლესიის განშორება, სამხედრო გასავალ-ს შემცირება, და სხვ. მაგრამ ამავების განხორციელება, როგორც უქანასენელმა სამმა წელმა დაგვანახა, შეუძლებელია მანამდე, სანამ ბატონთა საყრებულო ძირიანათ არ შეიცვლება. ამისათვის პირველი რეფორმა მის წინააღმდეგ უნდა იყოს მიმართული. ამ პროგრამას უწოდებს პროგრესული პროგრამა, ხოლო თავის პარტიას გერმანიის პროგრესული პარტია.

როგორც ხედავთ, ეს პროგრესისტობა იგივე ლიბერალიზებაა, ამ პროგრესისტ ბატონებთა საყრებულოს გაუქმება კი არა, შეცვლა სურთ, ხოლო ხალხის დამახინჯებელი პარლამენტს იგივე დამახინჯებულათ რჩება. საჩრევნათ უფლებების თანასწორობა, სამკლასიანი სისტემის მოსპობა ერთიანთ მივიწყებულა. აშკარაა, პროგრესისტება უფრო ზომიერები არიან, ვინემ ძველი დემოკრატები, და უფრო მოწინავე, ვინემ ახალი ლიბერალები. პირველთაგან ძირიანათ განსხვავდებიან, მეორეებთან კი მჭიდროთ არიან შეკავშირებული. მაგრამ რადგანაც ამ ბატონებმა თავიანთ თავს პროგრესისტები დაარქვეს, ოა გაეწყობა, ჩვენც ეს სახელი უნდა ეიცნოთ, თუმცა დემოკრატებთან შედარებით რეაქციონერები არიან.

ასე თუ ისე, ახალი პროგრესული პარტია შეეგა. ამ გარებობებამ ამომძიარა კონსერვატორები და გამოაქვეყნეს თავიანთი პროგრამა. აი ეს პროგრამა: „1) გერმანიის ერთობა, მაგრამ არა როგორც იტალიისა, სისტილით და ცეცხლით, არამედ მფეთთ, მმართებულად და ხალხთა შერთებით, უფლებების და უფროსობის განმტკიცებით... 2) წარსულთან კავშირის დაცვა, ქრისტიანული სახელმწიფო, ძლიერი მხედრობა; არც პარლამენტალური წყობილება და არც მინისტრთა პასუხის მგებლობა. მეფობა მოწყალეობითა ღვითსა და არა მოწყალეობითა კონსტიტუციისა. ქრისტიანული სკოლა, ქრისტიანული უტყროს-უფროსობა და მორჩილება... 3) დეკა პატრიოსანი შრომის, ქონების, უფლების და წოდებისა. არ მიენიჭოს უპირატესობა ფულს, ჩელოსნობა და მამული არ შეიქმნეს კაბიტალისტთა მსხვერპლათ“ და სხვ.



ამინიათ, საარჩევნო მოედანზე სამი პარტია გამოვიდა: კონსერვატორები, ლიბერალები (სამინისტროს მომხრენი) და პროგრესისტები. 6 დეკემბრის არჩევანში დაამარცხა კონსერვატორები (15 აირჩიეს) და გადალივრა პროგრესისტთა დასი. სხდომა გაიხსნა იანვარში და მარტში ისევ დათხოვილი იქმნა, რადგანაც დეპუტატთა უფლებმა ბიუჯეტზე მთავრობამ არ იცნო. ლიბერალთა სამინისტრო გადადგა და მიწვეულ იქმნა ისევ კონსერვატორები. 6 მაისს მომხდარმა არჩევანებმა საშინლათ დაამარცხეს მთავრობის მომხრენი, გააშვეს ყველა მინისტრები, კონსერვატორთა ბელადები, შეგაცირეს ძველი ლიბერალები და აირჩიეს ოპოზიციის უმრავლესობა. სექტემბერში გაიხსნა სხდომები. დეპუტატებმა დაამტკიცეს სახელმწიფოს ჩვეულებრივი გასაფალი და უარჰყვეს არა ჩვეულებრივი. მაშინ კი კონსერვატიული სამინისტრო იძულებული გახდა გადაშვარკყო. აი ეს ოპოზიციის პარეელი გამარჯვება. 24 სექტემბერს შედგა ისევ კონსერვატიული სამინისტრო ბისმარკის თავმჯდომარეობით. ბისმარკმა მაშინვე ხერხი იხპარა ლ დეპუტატთა განუცხადა: ხარჯთ-ალრიცხვა (ბიუჯეტი) უკანვე გამომაქეს და ამ-გაიის შემოიკოტან განსახილველიაო. ამით სურდა შესწორებული ბიუჯეტი სისრულეში არ მოეყენა და მით ეს მთავრობისათვის სავალდებულო არ შექმნილიყო. მთავრობას სურს ბიუჯეტი დეპუტატებმა არ შეასწორონ, არამედ მხოლოთ განიხილონ და დაამტკიცონ. ბატონებთა საკრებულომ უარჰყო დეპუტატთა მიერ შესწორებული ბიუჯეტი და მთავრობამ მიიღო. ამის გამო დეპუტატებმა დაადგინეს: ბატონთა საკრებულოს განაჩენი კონსტიტუციის წინააღმდეგია და არაერთარი ძალა არა აქვსო, ხოლო მთავრობას უფლება არა აქვს დეპუტატთა მიერ უარჰყოფილი ხარჯი დაამტკიცოსო. ოქტომბერში სხდომები შეწყდა. მთავრობამ დენა დაუწყო მოწინააღმდეგეთ, განსაკუთრებით იმ დეპუტატთ, რომელნიც რაიმე სახელმწიფო საშახურში იმყოფებოდენ. დათხოვილ მოხელეთა სასარგებლოთ ხალხმა ფული მოჰკრიფა. იანვარში ისევ გაიხსნა სხდომა. დეპუტატებმა პროტესტი განუცხადეს სამინისტროს და მოთხოვეს კონსტიტუციური თავისუფლების და წეს-რიგის აღდგენა. ბრძოლა გამწვავდა პოლონიის კითხვის გამო. იმ წელს რუსეთას პალონია აჯანყდა, პრუსიის მთავრობამ პარლამენტის დაუკითხავათ პოლონიის საზღვრებზე ჯარი ჩაყენა და რუსეთთან კავშირი შეჰკრა აჯანყებულთა წინააღმდეგ. (8 თებერვალს, 1863 წ.) დეპუტატებმა უარჰყვეს როგორც ჯარის გადასაყენი ხარჯი, ისე რუსეთთან ხელშეკრულობა. ამის პასუხათ მთავრობამ პარლამენტი (ამას აგრეთვე ღანდ-

ტკეს ეძახიან გერმანიში) დაითხოვა და ხელ-ახალი არჩევანი დანიშნა. მიუხედავათ ბევრნაირი შევიწროებისა და დენისა, არჩევანებზე ოპოზიციამ გაიმარჯვა და სხდომის გახსნასათანავე დაადგინა: მთავრობის მიერ გამოცემული ბეჭდვის შემავიწროებელი კანონი უკანონოთ იქმნას ცნობილია: ამით ხელ-ახლა ბრძოლა დაიწყო.

ნ. ჟ—ნა.

(შემდეგი იქნება).

ქ ე ბ ა თ ა - ქ ე ბ ა .



ცნაურია ესე სოფელი, მოჩვენება იმაში ყველა, ბევრი ცხვარი ჰყავს თაფი-ჭამიას, უფრო ნაკლები ტურა და მელა. სხვისა მკამელი თვის თავსაც ჰმას, მოჩვენებას ჰგავს თუმცა ეს ყველა; დღევანდელ სიტუბოს მრავლით უმრავლესს ხელზე დავერთვის შხამი და წყველა. თვის საქმეებს თითონ განაგებს, არას აწყენდა იმას ღეთის შეველა, მონა თვისი ბატონიც არის, თითონვე შედღეებს რაც მოიწველა; გარდა სიმართლის, სათნობისა უთავაბოლოა რასაც ვგრძნობთ ყველა.

—

ერემს და სერემს გაუხდათ ორივე ბზროდა ძალზეო. ქებეს დაუტია სურემმა, ხელი დაეღო ხმალზეო: „შე თქვენ გიჩვენებთ სეირსა, ორსავე გავრეკავთ კარზეო; არ დაგანებეთ, ჩემო, ხელი აიღეთ ძვალზეო!“ დაებლაუტენ ერთმანეთს, გამართეს მუშტის კრივია; მესველიც არეინ გამოინდა წყალი დაესხა ცივია. რომ დაიქანცენ, დაშველდენ, აღარ შეიძლოთ ბრძოლაო;

ხალია, კერცხიდან არის წარმოშობილი). მაგრამ არ შეიძლება, ეს ანდაზა საზოგადოთ მივიღოთ. ბევრი არსება უკერცხოთ მრავლდება. საქმე, ან, რაში გახლავთ. მეოცდაათე წლებში მოლომა აღმოაჩინა, რომ ყოველი ცოცხალი არსება, ცხოველი, შესდგება სულ მცირე, თუალით-თხილავ ცოცხალი-სავე ნაწილისაგან. ეს მცირე ნაწილები სრულიად-მოუყიდებელ არსებას წარმოადგენს. მას შეუძლია თავის-თავათ, თავისუფლად იცოვროს, იმოძრაოს, იფუფუსოს, იკვებოს და იზრავლოს, ამ პატარა ცოცხალ არსებას უწყობდ ეწოდება. ამიტომ ვირახავმა უწინდელი ანდაზა: *omne vivum ex ovo* — შეცვალა და შემდეგი კანონი დადგინა: *omnis cellula e cellula* (ყოველი უჯრედი უჯრედსაკანვე არის წარმოშობილი).

ცოცხალ არსებათ ორგანიზმი კი იმიტომ დაერქვათ, რადგან მათ ორგანო, ანუ აქეთ, და ამ ორგანოს საშუალებით თვის უმთავრეს თვისებათ გარეგანათ გამოსახვენ, შეასრულებენ. ორგანულ არსებას აგებულება, ორგანიზაცია აქვს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს ყოველთვის ნამდვილი არ არის, რადგან ბევრი ისეთი არსება შოკავება, რომელსაც სამივე შემო ჩამოთელილი თვისება უსათუთ აქვს, ორგანიზაციის ნატამალი კი არ ახალია. ამ უწყურ ფაქტზე ამყარებს ჰექსლი თავის მოსაზრებას და იმიტომ კანონით სდებს: ფუნქცია წინ-მიუძღვის ორგანიზაციას, პარველი უკანასკნელის წინა-მორბედა. ამიტომ ტერმინს — ორგანული — ფრთები უნდა შევკვეცოთ, ეწერო ფარგალთ შემოვლულად და ყოველთვის სახში ექონიოთ ამ ტერმინის უფარვისობა, შეუფერებლობა. მაშასადამე, მოკლეთ ასე შეგვიძლია ავსუსხით ორგანული არსების თვისებათა რაოდენობა: ორგანულ არსებას სამი ნიშნობლივი თვისება ახასიათებს და უორგანო, ფიზიკური სხეულისაგან განასხვავებს: სხრჭო საკვების შეთვისება და მონელება, გაღიზანება და წარმოშობა.

ცოცხალ არსებათ სულ უბრალო და მარტივი აგებულები წარმოადგენელი არის უჯრედი. ამიტომ ჯერ, ვიდრე ქვევთ წავილადეთ, საჭიროა შევისწავლოთ აგებულება, თვისება და ზრდა-განვითარება უჯრედისა.

ფს.

(შემდეგი იქნება)

ე შ მ ა კ ი .

მოთხრობა გივი დე მოხსენისა.



ესმისთ, ონორე! დედა თქვენი ისეთ მღვამარობაშია, რომ იმის მარტო დატოვება არ შეიძლება; მისი სიკაცხლე საათობით არის დათვალა. ეუბნებოდა ექიმი თავის წინ მღვამ გლესს.

— რა ეშველება ახლა ჩემ ძნას? მიუყო გლესმა ოხვრით. აქამდინაც უნდა მამეზიდა და, ახლაც რომ იქ დარჩეს, ხომ წამიხდა მთელი წლის ჰინახული!.. შენ რას იტყვი, დედი?

ონორეს მახუცებულა დედა, მუ წლისა, უკანასკნელ დღეში ჩავარდნილი, სავარძელზე იწვა და ისმენდა ექიმისა და შეილის ლაპარაკს თავის სიყვდილის შესახებ. მაგრამ ეს ლაპარაკი მას არ აწუხებდა: ნუკეშობდა იმით, რომ ამ ქვეყნიერებაზე ბევრი აღარა რჩებოდა, რომ არ გამოეცლო, არ ეგრობოდა საყვადლის დროს გული ნაკლულათ რაზე ექნებოდა.

მას ისე ჰქონდა ძალ-ღონე გამოლეული, რომ ლაპარაკს ვერ ახერხებდა, და თვლის დახვამამებით ანიშნა შეილის, აწაიდი, შეილო, მოზიდე ძნა და მომეც ახსარი, რომ ეს უკანასკნელი სათები მაინც მოსვენებით დაელიოეო.

— ნამდვილი პირუტყვი ხართ! დაუყვრა ექიმმა ფეხებს ბრაკუნით. — მე ნებას არ გაძლევთ, გესმისთ, მე თქვენ ნებას არ გაძლევთ, რომ მომაკედდეს მოშორდეთ! და თუ მაინც-და-მაინც ძნას ისე უჭირს, მოუყვანეთ სულთმობრძეს ბებერი რაპე და გვერდით მოუსვით. ეკ უთუოთ საჭიროა. გესმისთ? — ცხარებოდა ექიმი, — და თუ ჩემ სიტყვას არ გიკრანებთ, იცოდეთ, ძალღოეთ რომ კედებოდეთ, შედაც არ შამოკხედეთ!..

საწყალა გლესი კულ მღვამარობაში იყო: ექიმისად ემინოდა და ჰინახულის დაკარგვაც აუიქრებდა.

— რა ეცი ახლა, რას გამოამართმევს ბებერი რაპე?

ექიმმა ჰიდე ყვირილი დაუწყო.

— კიდევ! მე რა ეცი, რას გამოამართმევს, ან რა ჩემი საქმეა? ეგ იმაზე დამოკიდებული, რამდენ ხანს დაჰკირდება ბებერი. თქვენ თათონ მოვლაპარაკეთ, მხოლოთ ერთ საათში კი აქ იყოს უსათუოთ, გესმისთ!

— ამ საათში ვიხლები, ამ საათში! გაბედა ბოლოს გლესმა. — მხოლოთ თქვენ ნუ გამირისხდებით, ექიმო.

ექიმი წასვლის დროს თავისას გაიძახოდა:

—აგერ ჰქენ, ახლავ იყოს თორემ, თუ გაეჯაერდი, ხომ იცი, ჩემთან ხუმრობა ადვილი არ არის.

როდესაც ექიმი წავიდა, გლეხი მიუბრუნდა დედას და უთხრა:

—წყალო, დელო, რაბეს მოსაყენათ, რა გაეწყობა! ჩემ მოსვლამდის არ მოიწყინო.

ბებერი რაბე, მრეცხავი ღედაკაცი, მთელი უბნის მომაკედეებს და მკეძრებს პატრონობდა და ამით იოლათ მიდიოდა. მისი სახე სიბერისაგან ისე იყო დაღმენჭილი, რომ ერთი წლის დამკუნარ ვაშლს მოგაგონებდათ. ამასთანავე იყო საშინელი ბოროტი, ძუნწი და შურიანი ღედაკაცი.

როდესაც ონორე ბონტანი შევიდა, რაბე ლილას ხსნიდა წყალში სარეცხისთვის.

—დიდდა რაბეს ვახლავარ! რასა იქო, როგორა ბრძანდებით! მიესალამა ონორე

—ისე რაღა! ეცხოვრობოთ, როგორც შეეფერება ჩვენ გაჭირვებას, მიუჯო რაბემ. თქვენ როგორა ბრძანდებით?

—მე კი რა მიშავს... დედა ჩემია როგორაღაც...

—დედა თქვენი?

—ჰო, დედა ჩემი.

—რა დემართა?

—ისა, რომ ეს-ეს არის გათავლება.

—ნუ თუ ისე ცუდათ არის იმისი საქმე? ჰკითხა ბებერმა ვითომ წყენით.

—ექიმმა თქვა, ხელამდის ვერ იცოცხლებსო.

—ჰა, მაშე კუდათა ყოფილა.

ონორემ არ იცოდა, როგორ დეწყო საქმე. პირდაპირ ლაპარაკის დაწყება არ ენერხებოდა, პატარა ზრდილობა უნდა მოეხმარა, მაგრამ, რადგანაც არ იცოდა საიდან მოეგო, პირდაპირ უთხრა:

—რას გამოამართმევთ, დიდებო, რომ დედასთან იყოთ, სანამ ის მორჩებოდეს?

რაბემ, რომელიც მოელოდა ამ კითხვას, უპასუხა:

—მე ორი ფსი მაქვს: მღიღინებისაგან ვიღებ დღე-ღამეში ხუთ ფრანკს, ღარბებისაგან სამს.

გლეხი დფექტრდა. კარგათ იცოდა თავისი დედის ამბავი, იცოდა, რომ დედა მისი მაგარი, ამტანი ავებულობისა იყო, და ეკიშებს რაც უნდა ეთქვათ, ის რვა დღეს მაინც იცოცხლებდა; ეს ყველაფერი კარგათ იცოდა გლეხმა და ამიტომ უთხრა:

—არა, თქვენ მე ნარდათ მომიჩიოდით; გაბედეთ! ან მე მოვიკებ, ან თქვენ.

ბებერა ძალიან გააკვირვა გლეხის ამნაირმა ლა-

პარაკმა. ჯერ ამისთანა შემთხვევა არაერთხან ჰქონია და, ცოტა არ იყოს, ეშინოდა კიდევ; ამ გლეხმა არ მომატყულოს.

—მე ისე ვერ მოგიჩიოდებით, თუ დედა თქვენი არა ენახე. უთხრა ბებერმა.

—მაშე წავიდეთ და ნახეთ.

ბებერმა ხელები გასუფთავა და გაჰყვა.

გზაზე არც ერთ იმთავანს კინძტი არ დაუძრავს. ბებერი ძლიერ მისდევდა გლეხს, რომელიც ისე მზობრებდა თავის გრძელ ფეხებს; თითქოს მიუბრძნის ეისმესო.

სახლთან რომ მივიდნენ, ონორემ თქვა:

—ვინ, თუ დედა კიდევ გათავდა!

იმის ხმაში რალაცა უცნაური სურვილი იხატებოდა; მას გულით უნდოდა, რომ დედა მართლაც გათავებულყოფა.

დედა ცოცხალი დახვდათ.

რაბე მივიდა ავადმყოფის საწოლთან და დაუწყო შინჯვა: უნახა მაჯა, გაუშინჯა გული, დაუგლო ქმენას ყური, მისცა რამდენიმე კითხვა, რომ მისი ხმის ძალა გაეგო და ჩააშტრდა თვალბში; მერე სწრაფათ მოტრიალდა და გამოვიდა კარში. ონორე თან დაედევნა.

რაბემ თავისი აზრი უკვე შეადგინა ავადმყოფზე: იმის ფიქრით, ის დილამდინაც ვერ მიახწევდა.

—როგორ არის საქმე? ჰკითხა ონორემ.

—ჩემი აზრით ორ დღეს იცოცხლებს და იქნება სამიკ ვასტანოს. მე გამოგართმევთ თქვენ ექვს ფრანკს. დაბოლოვა საქმე.

ონორემ საბრალოთ დაიღრიალა:

—როგორ თუ ექვს ფრანკს! ხომ არ გაგიქვით? რა არის აქ ექვსი ფრანკისა?! ვარწმუნებთ, რომ დედა ჩემს დარჩენილ სიცოცხლე ხუთი-ექვსი საათი და ექვსი ფრანკი რაში მიგაქვს?

ბებერი ივაჭრეს, ბებერი ილაპარაკეს, მაგრამ გლეხმა ერთი სუც ვერ დააკლმინა. ბოლოს რომ შეატყო, რაბე წასვლას აპირებდა, გაჯაერებით უთხრა:

—კარგი, მაშე იყოთ ექვსი ფრანკი, მხოლოთ დასაფლავებამდის კი უნდა იყოთ მასთან.

—კარგი.

გლეხი საჩქაროთ წავიდა ძნის მოსავლელათ, ბებერი კი თავისი ხელ-საქმით ავად-მყოფს მოუხდა. უსუბე რაბემ, თითქოს რალაცა მოაკონდა, ჰკითხა ავად-მყოფს.

—წმიდა საიდუმლო მიიღე?

ბებერმა ბონტანმა ანიშნა, რომ არაო.

რაბე ეცხლავ წამოხტა და გაექანა კარებისაკენ, ამ სიტყვებით:

—ღმერთო ჩემო, როგორ შეიძლება უზიარე-

ბლომა და მერმე ამ ყოფაში! ამ სათში მღვდელს აქ გაეაჩნე.

ესა თქვა და ისეთი თავ-გადავლევადი მოჰკურ-ცხლა მღვდლის სახლისაკენ, რომ ხალხს ეგონა, უბედურება მომხდარა რამეო.

მღვდელმა საჩქარო გადაიკვა თეთრი სამოსელი და გაჰყვა რაჰეს. მღვდლის წინ მიდიოდა ერთი პატარა მგალობელთაგანი, რომელიც წამ-და უწყუმ პატარა ზარს აწკარუნებდა და იქ მყოფ მუშებს ატყობინებდა, რომ წმინდა საიდუმლოს მოესვენებოთ. გლეხები ზორიდანე იხდიდნ ქულებს, ანებდენდნ მუშაობას თავს და რდენ ისე, მინამ მღვდელი თეთრი სამოსელით არ მოეფარებოდა. ყანაში მომუშავე დედაკაცი თას მალაო იღებდენ წმიდა საიდუმლოს წინაშე და პირველს ისახავდენ.

ონორემ ეს მსვლელობა ზორიდანე დანიხა ზე ჰკითხა თავის მუშას:

— ნეტა სად მიეშურება ე ჩენი მღვდელი?

— ეინ იცის, იქნება დედა შენის საზიარებლათაჲ მიდის.

— იქნება ავრც იყოს, თქვა ონორემ და შეუდგა ისე მუშაობას.

ბონტანმა მღვდელს აღსარება უთხრა, ამან შეუნდა: ცოდვები, აზიარა და გამოპრუნდა შინისკენ. რაჰემ ცოტათი ყურის გდგმა დაუწყო ბებერს, რასა იქს, არა კვდებოა.

ჩამობნელდა. დაუბერა საღამოს ციება სიომ და გაავრილა ავთ-მყოფის განურებული ოთახი. ბებერი უძრევლათ იწეა და უზარუნეკლათ მოელოდა სიკედლის, რომელიც როგორღაც იკვიანებოდა.

დაღამებსთანევე ონორეც მოვიდა. მივიდა საწოლთან და გადახედა ავთ-მყოფს. ის ჯერ არ გათავებულ იყო.

— როგორა ხარ, დედი? ჰკითხა მან.

ონორეს პასუხიც არ უნდოდა: ხედვდა, რომ დედა იმავე მდგომარეობაში იყო, როგორც დასტავა. ონორემ რაჲე ღამით დაითხოვა და უთხრა დილით ხუთ საათზე მოსულიყო.

— კარგი, მოვალ, უპასუხა ბებერმა და წართლაც გათენებისას მოვიდა.

ონორე მინდარში წასვლას აპირებდა და თავის გაკეთებულ წვესა ჰხერგავდა. რაჰემ ჰკითხა:

— ჯერ არ გათავებულა დედა თქვენი?

ონორემ თვალეში რაღაცა ეშმაკურათ გადააბრიალა და უთხრა:

— არა, დღეს უკეთ არის, და გასწია მინდერი-საკენ.

რაჲე მიუხედა გლეხს გულის პასუსხ და ძალიან საფიქრებელში ჩაეარა. მივიდა ბებერთან და ნახა

ისევე იმ მდგომარეობაში, როგორც გუშინ იყო: თავისი დახვლანქული ხელები საზანზე დაეწყო და მძიმეთ სუნთქავდა.

რაჲემ იგრძნო, რომ ბებერი იკოცხლებს კიდევ ორს, სამს და იქნება რეა დღესაც. იმისმა გაქვევებულმა და გაყეებულმა გულმა რაღაცა საშინელი კენფის მართო. მას აედრა საშინელი სიძულვილი გლეხისადმი, რომელმაც ასე მოატყუა რაჲე, და იმის დედისადმი, რომელიც აქამდის არ ესალმებოდა წუთისოველს.

ონორე შეადლისას მხიარული დაბრუნდა შინ, რადგან მის ძნას კი აინდები დაუდგა.

ბებერს ხანგრძლივმა სიკოცხლემ რაჲე საოწარაკეთილებმაში ჩაადგო; გრძნობდა, რომ რაც დრო გადიოდა, უფლი აკლდებოდა, რომელსაც სადმე სამუშაოში აიღებდა. ის იტანჯებოდა და სწუხდა, რომ ამ ხნის დედაკაცი ასე საშინლათ მოტყუედა: ბებერი არ კვდებოდა და ამას იმოღენა გამოსარჩენი საქმეები ხელიდან ეცლებოდა. გატაცებული ამ საშინელი ფიქრებით, ის მზათ იყო წაეჭირა ამ ჯიუტ ბებრისათვის წყელში ხელი და მოესპო მისთვის სიკოცხლე.

ბებერი იფიქრა, თუ როგორ მოესპო ბებრისათვის სიკოცხლე, და ბოლოს რაღაცა საშინელ ხერხს მიავნო, იმისმა სახემ მხიარული გამომეტყუელება მიიღო. განსარებული, ის მიუტოცდა ავთ-მყოფს ახლო.

— შენ ჯერ ეშმაკი არ გინახავს?

— არა.

რაჲეს ძალიან გაუხარა. საშინელ ამბებს ელპარაკებოდა, იმ აზრით, რომ დაუძღურებული ბებერი როგორმე უეშინებია და ამ გზით, მინც არის, მოელო მისთვის ბოლო.

ეს უამბობდა, რომ ყოველ მომაკედავთან მიდის ეშმაკი; ხელში უჭირავს დიდი ცოცხი, თავზე ახურავს ქვაბი და საზარლათ ღრიალებს. როდესაც დაინახავ, დარწმუნებული იყავი, ერთ წამს შემდეგ ქვეყანას გამოესალმები. ამის დასამტიკებლათ მოჰყავდა მაგალითები, თუ რამდენ ადამიანს გამოეცხად ეშმაკი ჩემი თანადასწრებით სიკედლის დროს...

ამისთანა ამბებმა ავთ-მყოფი საშინლათ შეაწუხა: დაიწყო ლოგინში ტრიალი და ოთახის თვალიერება.

რაჲემ ისარგებლა ამითი და უტებ ამოფარა საწოლს. მერე მივიდა ყუთთან, ამოიღო ზეწარი და გაეხედა შიგ, თავზე ქვაბი ჩამოიკცა, ერთ ხელში ცოცხი აიღო, მეორეში თუნუქის კასრი და, რაც ღონე ჰქონდა, აისროლა მაღლა, რომ ჩამოვარდნის დროს დიდი ხმაურობა მოელო. მართლაც, კასრმა ისეთი რახეანი მოიღო ძირს, რომ ავთ-მყოფს გული გადაოუბრუნდა.

რამე ისარგებლა ამ ხმაურობით და აიტუზა სუელის ფებით, მერე მორთო სამწინელი ღრილი და ცოცხს ქნევა. შიშით შეტრწუნებული ავითმეაფი ღამობდა ადკომას და ვაქცეას; წელაზღის ა-წი კიდევ, მაგრამ აქ ძალამ უმტყუნა, უკანვე გადავირდა, ერთი საშინლათ გაიბრძოლა და განუტყევა სულთ.

რამე ამას ელოდა. მაიხსნა თავისი სამოსელი და, განარბული თავის გამარჯვებით, მივიდა მიცვლებულთან, დაუხუტა თვალები, დაუკრიფა ხელები, აპკურა აიხზის წყალი, დაიჩოქა და დაიწყო ჩეეულბერბიეი ლოცეა.

საღამოზე ონორე დაბრუნდა და ბებერა რამ ლოცეებ დაინახა, გაიფიქრა: „ამ სულ-ძალმა მინიკ კიდევ მამატყუა და ერთი ფრანკით მეტი მიაქესა“.

გ. საუკარქლედი.

სულ.	ბილ.	მოცუბა	სულ.	ბილ.	მოცუბა
4782	6	200000	6859	5	1000
19769	45	75000	18103	17	1000
18012	11	40000	6015	17	1000
5830	21	25000	19427	4	1000
11178	41	10000	19176	2	1000
4834	35	10000	10771	48	1000
2450	20	10000	9993	32	1000
13825	4	8000	2642	44	1000
12131	30	8000	9393	45	1000
5990	49	8000	11208	15	1000
10797	34	8000	504	21	1000
16280	9	8000	2735	18	1000
6342	39	5000	7153	6	1000
15959	29	5000	6439	29	1000
19019	45	5000	1818	29	1000
10217	9	5000	3780	17	1000
15	15	5000	12715	3	1000
19646	17	5000	6640	13	1000
10003	38	5000	8235	3	1000
7964	1	5000	5585	49	1000

მცირე შენიშვნა.

ნ მარტს დაწყო თავისი მოქმედება „შუაპავალი“ საღებ-მიცემა ამხანაგობამ. ამ ამხანაგობას წესდებოთ ძალიან ფართო მიზანი აქეს. თავის სახელწოდებისამებრ, იგი გვიპირდებდა გახდეს შუამდგომლობისა და მწარმოებელს შუა. ამ აზრის შესასრულებლათ იმას აქეს განზრახვა იქონიოს ქ. თბილისში და საფლებში, აგრეთვე უცხო ქვეყნებშიც, საწყობები და საეაქრო სახლები ყოველნაირი ნაწარმოებისა, როგორც ჩენი ქვეყნისა, ისე უცხოეთისა. ამისთანა ფართო მიზნის განზორციელებას დაქირდებდა კარგა დიდი თვეიკი, რომელსაც ამხანაგობა, რა თქმა უნდა, ესე მალე ვერ შეეკარავებდა. ამის გამო, ფართოთ საქმის დაწყებამდე, ამხანაგობამ სასარგებლოთ სწრა თავისი მოქმედება დაეწყო მცირე საქმით. მან გახსნა მაღაზია, რომელშიაც ჰყილის წერილ-წერილათ ყოველნაირ, სანოვაცეს და სასმელებს. ამ პატარა ვაჭრობის დაწყებით ამხანაგობა გაუმეფეა საეაქრო საქმეებში, ნელ-ნელა შეიძინა გამოცდილებას, თავის თავისაც უპატებს და რაქუნ-

სამე წელს შემდეგ შეიძლებს თვისი საქმე იმდენთ გააფართოეოს, რამდენათაც მითხოვს მის წესდებში გამოთქმული მიზანი, ჩენ სულათა და გულათ ფესურებთ ამხანაგობას, რომ კარგათ წარმართადს საქმე. მაგრამ ცალიერი სურვილი არას გააწყობს, თუ ჩენმა საზოგადოებამაც საქმით ხელი არ მოუწყო, მას.

„შუამავალის“ მაღაზია და კონტორა იმყოფება ბაზრისა და ბარონის ქუჩების კუთხეში, თ. კ. ი. მუხრანბატონის სახლებში.

ამტარბატონი. პირველ მარტს ანუედა მოგება მეორე შინაგანი სესხის ბილეთების შემდეგ ნომრებს:

სულ.	ბილ.	მოცუბა	სულ.	ბილ.	მოცუბა
4782	6	200000	6859	5	1000
19769	45	75000	18103	17	1000
18012	11	40000	6015	17	1000
5830	21	25000	19427	4	1000
11178	41	10000	19176	2	1000
4834	35	10000	10771	48	1000
2450	20	10000	9993	32	1000
13825	4	8000	2642	44	1000
12131	30	8000	9393	45	1000
5990	49	8000	11208	15	1000
10797	34	8000	504	21	1000
16280	9	8000	2735	18	1000
6342	39	5000	7153	6	1000
15959	29	5000	6439	29	1000
19019	45	5000	1818	29	1000
10217	9	5000	3780	17	1000
15	15	5000	12715	3	1000
19646	17	5000	6640	13	1000
10003	38	5000	8235	3	1000
7964	1	5000	5585	49	1000

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლის.

ექიბი გ. ი. ბაღრიძე

მიიღებს ავითყოფებს შუადღის 12 საათიდან 3 სათამდე. კირბიის ქუჩა სიმონოვის შესახვევში სახლი არაქელოვისა.

დასაყენებლათ სამივეს
 გვერდზე მოუნდათ წოლაო.
 პირ დაღადრულებს გმირებსა
 თაეს წამოადგათ მოლაო
 და სამივენი კინაღამ
 თეირანს წაიყოლაო.


—
 ცამ მოიღრუბლა ჩვენ თავზე
 სეტყვა მიჭვა თუ წვიმაო?
 არ ვიცი ბედმა პირ-კუშტმა
 რატომ არ გაგვიღიმაო?!.
 კარგებს წინათაც უტირავ,
 კარგნი დღესაცა ტირიან:
 „გვიშეგლე დამზადებულ“,
 დაუცხრომელათ ჰყვირიან;
 ჩვენის სიგლახის მიზეზი
 ჰსურთ ამოკლდნ ძირიან.

უღარაჯებენ ქვეყანას
 მტერი გულს ლაზერით ჰგმირიან.
 ცუდანი კმაყოფილია
 დღეს და წინანდელს დროშია,
 ცუდა გაძრომით იცხოვრებს,
 როგორც გარყენილი გოშია.
 ქვეყანა წყალსამც წაუღვე
 ოლომც აჩუქათ გროშია.
 ასეა, ვისიც ტენისა
 და გულის ძარღვი ბოშია.

—
 ვერც წინ წაესულეართ, ვერც უკან
 ამ დანჯღრეულის გემითა.
 მგზავრობა სად გავანილა
 ზურგზე მათრახის ცემითა?
 ან თუ მიმოგლა ქვეყნისა
 წინა და უკან ხეითა.
 ისეე წინ წასელა ჯობია
 ნააზრეობით ჩემითა,
 მამ ზომ არ დავუღუპებით
 ხალხს მრავალის თემითა.
 ვერ გავიკვლით ბილიცი,
 ვართ ჯერ აზრისა რყევითა.
 ცუდანო, კარგებს მიპყვეით
 იცხოვრეთ იმათ რჩევითა...
 გასწიე, გემო, იტურემ

წინ გაიწიე ბაგითა,
 ვერას დაგვაკლებს ზღვის ტალღა
 შემოტეევებით შმაგითა.
 დეე, იაღქნება დაფრიწოს
 ქარის უღვირათ ქროლაშა,
 დაე, დაგვლეწოს თუ უნდა
 ზღვისა ზვირთების სროლაშა;
 მკედარს დაგვამზავსა შინცა
 უქვით გღებამ და წოლაშა,
 გააბეჩავა მშობელი
 უმზავსთა შეილთა ყოლაშა!

—
 ეჭ, მეც დამალა-დამამხო
 მარტო ფიქრმა და გრძნობამა,
 არა მოგვეცა-რა ლამაზის
 სიტყვებით ამაყობამა,
 აღარ აყეუდა არწივი,
 ე)



მხატვარი მიხეილ მუნჯაბი.

ვეფხი არ იბრძვის ტოტითა,
 ერთხელ საქმეზეც ვიფიქროთ
 ღარბაისენლო მოდიტა!
 ერთნი ალთაში ვაგებრებართ,
 სხვანი წავედით ბალთასა,
 ძმანი ერთმანეთს მიუზრბით,
 სხვა ვინ დაგვაგულევს კალთასა.
 ღმერთო, მადლობა შენთვისა,
 დედა ლეთის მშობელს დიდება,
 სხვა ვერა მიუქირია-რა:
 ალბათ უფალმა ინება,
 თორემ ვინა თქვა თეთრისა
 სიმწვანე, ანუ შავება,
 ვინა თქვა: ერთობა გვაწყენს,
 გვარგა სხვა და სხვაობა.
 ბევრსა ტყუიან ძველებიც,
 ტყუის ახალი თაობა.

გუფა-ფშეკელა.

მხატვარი მიხეილ მუნჯაჩი.



მიხეილ მუნჯაჩი, უნგრელი მხატვარი, დაიბადა 1844 წელს უნგრეთში, მამა მისი უბრალო ღერგალი იყო და თავის შვილს ამ ხელობაში ზრდიდა. შემდეგ მუნჯაჩი მიუნხენში გადასახლდა მხატვრობის შესასწავლათ. მის მასწავლებლათ ერთი ცნობილი მხატვარი იყო. 23 წლის ყმა-წვილმა კაცმა, მუნჯაჩიმ, დიდი მხატვრობის ნიჭი გამოიჩინა და ზედი ზედ სამჯერ პირველი პრიზი აიღო უნგრეთში მხატვრობის გამოფენაზე. შემდეგ მუნჯაჩი პარიზში გადასახლდა, სადაც გულმოდკინეთ და ნაყოფიერათ მუშაობდა. მისი განთქმული სურათებია: „უკანასკნელი დღე სიცილით დასასჯელი-სა“, სხვა უფრო მეტათ რელიგიური შინაარსისა: მგ., „ქრისტე პილატეს წინაშე“, „ქრისტეს ვეარცმა“, „მილტონი თავის ქალიშვილებს“, „დაკარგულ სამოთხეს“ „უკანაბებს“ ჭ სხვ., მუნჯაჩის ნიჭი მეღანხალიურ-ის, მქისი გვარისაა. მისი სურათები რაღაც მწუხარე, სევდის მომგერელ შუქით არიან განათებულნი. მუნჯაჩის ნიჭს ეყრობა კარგათ იცნობს და მალლათ აფასებს.

ჩვენი მწერლობა.

„სამანიშვიდის დედინაცვალი“, — მოთხრობა დეა. კვდი-
 შვიდის, „მოამბე“, №№ I და II, 1897 წ.



ახალი ორიგინალური კენაძი (ავანტი) ძვირი მოაქვნიდა ქართულ მოთხრობაში. ამიტომ მადლობის ღირსია ბ. კლიდაშვილი; მისი ახალი მოთხრობა მართლაც ახალია თავისი კენაძით, ტემითა და ამ ტემის ცოცხალი აღსრულებით. მოთხრობის შინაარსი ჩვენი იმერული სოფლის თავად-აზნაურობის ყოფა ცხოვრებიდან არის ამოღებული, მისი უტყუარი გამომხატველია. იგი სიამეს ჰკერის მკითხველს, მეტადემ მკითხველს, რომელიც იმერეთსა და იმერული ცხოვრების ვითარებას იცნობს.

მონაცესა და ქვერე ბეკინა სამანიშვილს, ღარიბსა და თემომწურე იმერელ აზნაურს, ჰყავს მოსიყვარულე და მორჩილი კოლიან-წერილ-შვილიანი შვილი პლატონ და არა ჰყავს ახვანაჯ, მისი გულის მცოდნე და ამ გულის პასუხში ნოზარე. ამიტომ ბეკინას სევდა მოჰქვნიდა გულს და ამ თავის საბუღარში აააღსა და უტყუარ განზრახვას გამოჩეკს, რომელიც ბოლოს გამოცხადება ქვეყნათ და საწყალო პლატონს, ბეკინას მორჩილ შვილს, თავზარს დასცემს.

ქვერისა და დანადლიანებულ ბეკინას ახალი ცოლის მოყვანა უნდა. პლატონს დედინაცვლით გაუჩნდება, რომელიც, უუქველია, შეიღებსა და პლატონის პაწია ამკვიდროშ მომავალ მოზარეთ გაჩენს. საწყალი პლატონ აღარაა მწუხარებით. მისი საუბარი მამასთან ჩვენი სოფლის აზნაურთა ოჯახის ვითარებას, წერილ აზნაურთა მამა-შვილობას გადაეცემის თელ-წინ.

„ნუ მეწინააღმდეგები, შვილო!“, — ამბობს ბეკინა: „გარწმუნებ, პატონსან სიტყვას გასლევ, თქვენ არაფერი დაემაჯღეთ, წავისდეთ, ერთი ხნერიმ დედაგაცი სხვაში შემოვიყვანო. ცოტა ხანს ვიგნოჯრეთ სიამოვნებით ერთათ და მეტე დმერთმა კეთილთ მოგასმაროთ ეს ოჯახი, ეს სასლიც, ეს კარიც, ყოლიფერი, რაც რამე გამანია, შვილო!“

„პატონო, შვილი გეუფლოს, შვილი... მამინ?“ — დაატანა პლატონმა.

ბეკინას განზრახვა მტკიცე და შეურყეველია და პლატონი იძულებული იყო, დაჰმორჩილებოდა მას. „გამწარებულ ყმაწვილკაცის გულში ცუბლი ტრიალებდა. მისი ტრინი წისკელის ბორბალსავეთ მოუსენერთ ბრუნავდა, რომ რამე ხერხი გამოეკო-

ნა, „ქმურათ“ არ გავყოთ „მ-სი“ „სიმდიდრე“, რომ ახლანდელ შწირ ლუქმანზედ შეჩვეულ კუქს უფრო დამკირებულ ლუქმანზე შეჩვევა არ დასკირებოდა.“

ბოლოს ბეკინას უცნაური განზრახვა თვის მზგავსს უცნაურ განზრახვას შექმნის პლატონის გულში.
— „მომანდევ მე საქმე მე... მე მოვინახე ქალს“ — ეუბნება „შვილი მამას.

ცულულტი პლატონს სურს, „კორნაქპარები“ ქერივი და ორივე ნეტარ-ხსენებულ ქპრების ხელში უშვილო მანდილოსანი მოუძებნოს თავის ჯიუტ მშობელს და ამნაირად მომავალ მოზიარებებისაგან თავი უზრუნველ ჰყოს.

„კორი ქპრის ხელში უშვილო გავას ბეკინასთან რალა დღერთი გაუწყურება, რა აყოლივს შვილსაოა.“
აი მოთხრობის კანაძე, მისი სულის ჩამდგმელი. გრძობა წინამარბელი ეუბნება მკითხველს, რომ პლატონის განზრახვა მთელ მოთხრობას ვლასთს მისცემს და შეახლისებს. მართლაც ასეა. ახალი, თავისებური ფიქრი, დაიბადება თუ არა მწერლის „ცნობა და გულში“, თვის მშობელთა სიცოცხლეს ეუფლება ხოლმე და თავის კილოზე აძგერებს. ახრა გულისა და გონების მკვიდრი შვილია და, რაც უფრო ცოცხალია ბაღი, მით უფრო მეტი წნოთი და სიცოცხლით ჰკვიდება თავის მშობლებს.

პლატონი გამოეწყობა სამგზავროთ, „კორნაქპარები“ დედინაცლის საქმრათ, და მასთან ერთად გამოეწყობა ირონია, ღიმომორეული ფიქრი, რომელიც პლატონის განუყრელი თანამგზავრია და მთელ მოთხრობას თავის შუქს მოჰყენს. მოთხრობას ღირსება ცოცხალსა და მზიარულ მოძრაობაშია გამოხატული. პლატონი—თავისი უცნაური განზრახვის შემქნელი და მატარებელია და მისი თუ გარდასავალი ამ განზრახვისა და ცხოვრების პარობათა მტკაცებაა, ხალისიანათა და ჰუმორიულთა ნაამბობი.

ბ. კლდიაშვილი მარჯვე ავტორი და სცენარიუსია. მან წინ დაწინ იცის, როგორი და რა თვისების პირუტყენი და პირმეტყველნი უნდა შეუშვას სცენაზე, სადაც ამ დროს პლატონი ბძანდება, — იცის, რა შედეგი მოჰკვება სულდგმულთა შეხედვრა-შეტაკებას, — იცის, რომ ამ შეტაკებაში უფრო ნათლათ გამოვლდება პლატონის განზრახვის ჰუმორიული უცნაურობა, რომელიც მკითხველს გულიანათ აკინებს და მის გულს მოიგებს.

ავილით ჯერ თუნდ პირველ სურათში პლატონისა და ერთი პირუტყეის შეხედვრა. პლატონი სამგზავროთ ემზადება და ცულულტი ავტორი თავისი გამირის განზრახვის შესაფერ ცხენს შეუშვებს სცენა-

ზე და პლატონს შესთავაზებს. ეს გახლდათ „ქალზე გამხდარი და ზურგ-დაშავებული ბედღური“.

„პლატონმა რომ ცხენს უნაგირი შეაღდა, ამ უკანასკნელს ტანი აღძვებოდა.

— ამზე შეჯდომა რაე შეგიძლია?—უთხრა მელანამ (ცოლმა).

— აბა ფენი ვისთან მივიდე, შე ქალო?
— კი მარა, სულ არ მოგვება საცოდავს ზურგი?

— ფეხ-ფეხა მიეყვები, ბატონო, ფეხ-ფეხა მიეყვები... სირცხვილისათვის მიმიყავს თვარა რა! შენ ეგ მოსართავი მომეცი და ამის ჯაგერი ნუ გაქვს!“

„სირცხვილისათვის!“ იმერული მკითხველი უწყის, რა დიდი და დაუსრულებელი იმერული თავმოყვარეობის ბუდეა ეს პაწია და მოკლე სიტყვა. ჩვენებურ პაწია თავად-აზნაურის უნების დიდ-კატორი თავმოყვარეობის თავი ჩვენ წარსულ ქამათა დასაბამშია გაქცეებული, მისი საყვარელი კულ კი დღესაც საცოდავთ ფანცქალებს ჩვენ ცხოვრებაში. ამ თავმოყვარეობას თავის დროზე დიდ და მაკარი სხეული ჰქონდა, დღეს კი სწორათ იმდენი ძალღონე უღდას კოქებში, რამდენიც სხეულის იმეგ განყოფილებაში პლატონის „ქალზე გამხდარსა და ზურგ-დაშავებულ“ ბედღურსა აქვს შერჩენილი. ჩვენმა ისტორიამ ხანგრძლივათა და უწყალოთ ხელნა ეს ჩვენი ძველებურ იმერული თავმოყვარეობა, მთლათ გადაუტყუვა ზურგი და ჩვენი დროის პაწია განათლებამაც რომ შეადგას უნაგირი ამ საბრალო ნაწილს, „ამ უკანასკნელსაც ტანი აღძვებოდა“ და იმდენი ცარიელი შიშით დალევს მალე თავის დღე მოკლე სულსა.

აი ამ ჩვენ ჯაგლაკა „სირცხვილს“ და თავმოყვარეობას მიათრევს აღვირით ჩვენი აზნაური პლატონი თავის უცნაურ მგზავრობაში და, დინახავს თუ არა შორიდან ეინმე მისკენ მომავალ მგზავრს, მარჯვეთ შეაკუპდება თავმოყვარეობის რაწმ და მდინარ ზორგზე და ჩაქვიწულ ფერდებში მაკარ-მაგარ წისოლებს მიათრევს საჯიროთ-სათხაროკოთ.

მკითხველი ხედავს, რომ პლატონი, თავისი უცნაური განზრახვის მატარებელი, და საცოდავი ბედღური, პლატონისა და მისი განზრახვის მატარებელი—ავტორმა მოხერხებულათ შეხანედრა და შეაფერა ერთმანეთს და ყველა ესენი თავისი სატრიუსული-ირონიული განზრახვის დამატარებელათ ვახადა.

ახლა პირ-მეტყველებისკენ გადავიდეთ. მამისაგან შეწყუბებული პლატონი თავის გათხოვილ დასთან გაემგზავრება, რჩევსა და შემწეობის სათხოვნელათ. პლატონის და მუყათით ქალია, ოჯახის ბურჯი. ავტორი რამოდენიმე სტრიქონში გადავიწილს თვალ

წინ მისი სულის ვითარებას. მხიარულათ შეხედვიან და-ძინან ერთმანეთს.

— მამა რას იქნ? — ჭკითხის დაწკაპამ თავის მძის: — გაი მისი გაძაღუბული სიფიქსე! — ამისიგქეშა დაწკაპამ; რა გქნა, მამა, გედას მივსჯელ მე უბედურმა ამ ტაჭირებში, გამწარების ხანს! რა გქნა? მარტოთ გწინა-დღამ ამ ოჯახში, ერთი საათი გერ მამიტოღუპია... ვის-ზე დატოვებ, შენი ჭირამე?... და ამისთანაში გედას მე განსეთ და თქვენგანად დაწვეუბული შეგებენი, მამა!.. წუხს ვიდეგ, უბედური?... ან კი რა გასანაწეს მის გულის, დედაქმნის დაწკაპრკველს!.. ხომ ან ზეთმყოფობს მაინც, შენ გენაწვადე?

დარიკოს გაცნობას მეტი არაფერი უნდა. მკითხველი ნათლათ ხედავს მის სახეს. მხატვრობა მშობლური გრძნობის ნაშობია. მშობლური გრძნობა, გონიერული სიყვარული შეგატყობინებს, გაუშვებს ხოლმე მშობლებს მათი შეილების ბუნებასა და ხასიათს. რაც უფრო გრძნობიერი, გონება ვახსნილია მშობელი, მით უფრო ღრმათ ესმის თავისი შეილი სულის ვითარება, ამ სულის ძირითადი ნაკელი დაიწვება, ამისთანა მამა რამოდენიმე სიტყვით გუ-გაცნობთ და თვალ-წინ დაგიყენებთ თავის შეილს. ამ საიდუმლოს შემოქმედ-განათლებულა მშობლური გრძნობაა. ჭეშმარიტ ცხოვრებასა და წმინდა ხელოვნების უშუალო წყარო — სიყვარულია.

„Талантъ — есть искусство выбирать“ — თქვა მხატვრამ — ფილოსოფოსმა ლეე ტოლსტიმ. ნიჭმა იცის, რა თვისებანი, რა სიტყვები უნდა ამოკრიფოს ადამიანის გონებიდანა და გულისადა, რამ მათი ბუნება ნათლათ შეგატყობინოს.

მკითხველი ყურს უჯდება დარიკოს ლაპარაკს, ესმის მისი სიტყვების კილო, ხედავს მის სახეზე ნაღულიან მწუხარების, და ყველა ეს ბ. კლდაშვილის ნიჭის ბრალია.

ამ დროს უცრათ „შემოჯირითდება“ დარიკოს ეზოში „მალალი ტანის, კახტათ ჩაცმული, შნოიანი ახალგაზდა კაცი და გრძნობით მიეცემა პლატონს“.

ეს გახლავთ დარიკოს მეუღლე, აზნაური კირილე, აეტროსის განკარგულებით მოთხრობაში „შემოჯირითებული“ ახალი, ცოცხალი ტიპი. კირილეს პიროვნება ლამაზათა აქვს აეტროსს გამოსახული. ყოველ მის სიტყვაში ცოცხლობს კარავით ცნობილი, მარად მოქეთვე, ჩვენი საშობლობის გულზე მხიარულათ მოხეტიალე, უღარდველი და თავზე ხელ-აღებული შეძლებული იმერელი აზნაურიშვილი.

განდა თუ არა კირილე, მთელი გარემოა ცოცხალი ხმაურობით; აესიო.

— ჭკითხის მეტი რომ არაფერი გავანდებ, ნეტავი შენ, შე უბედურა! — წაუღამაწკა დაწკაპამ.

— ჩვენი ვალაგართ მიმინაშეილები! — წამოიძახა კირილემ და წამოიტიმა ფეხზედ ამღვარი. — მიმინაშეილები... მიმინაშე ჩვენი თან რა უნდა მწუხარებას... ჩვენი თავს არავის არ დაუტყვევებებ... გვირობით ვართ ასე!.. სადაც სიამე, იქ ჩვენი ვართ და სადაც მოღბენა! ასე მოგედებს გვირავნობით. აბა, შენი ჭირამე, ორიოდ დღე ვიცოცხლო, გული მწუხარებით ვეცისო, მოღბენა დაეკოლო და ისე წავაყრევირა ზე-მწიქ! შენც არ მომიკვდე!.. —

კირილე, პლატონის განზრახვა რომ გავიგებს, სინაზულით აღარ არის და იმ წამვე გავაწყვეტს, რომ პლატონს უნდა გავყვეს მგზავრობაში დედინაცულის საძებნათ. კირილესთანა ტიპის ბუნებითი ჩარხი ქარია, ამ სოფლათ სამკვიდროს მოკლებული. ყოველ წუთს, შემთხვევას, როგორც სახლის სახურავზე დარტობილ თუნუქის მამალს, ისე ამ ტიპსაც, სათიკენაც სურს, იქით აქნევიებს ცხვირს.

ყველა ამ თვისებათა, კირილეს რაღაც სიმპატიამ მოსდამს — მოძრაგი, მოუწინარი და მართ მხიარული სულდგმულის გადამდები თვისება.


ჩემი მკითხველი ადვილათ წარმოიდგენს, მოთხრობათ თუ არ წაუკითხავს, რა უნდა ყოფილიყო პლატონისა და კირილეს ამხანაგური მგზავრობა, ახირებულ მიზნისკენ საზიარო მისწრაფება. თუ არ წაუკითხავს, წაიკითხოს და ბევრს იცინებს და ისიამოვნებს.

ბოლოს, სხვა-და-სხვა სასაცილო შემთხვევათა წყალობით პლატონი სანეტარო, „ორნაქმარებსა“ და უშეილო მიზანს მიაღწევს, მამას ბეკიანს შერთავს და ისვენებს. მაგრამ ვაი ამ მოსვენებას... ახალ დედინაცუალს მოკლე ხანში ორსულობის ნიშნები გამოაჩნდება.

აქ აეტროსის ერთი მარცხი მოსდის, რომელიც მოთხრობის ბოლოს აუშნოვებს. გამწარებული პლატონი ორსულ დედინაცუალს ეძგერება და მუცელში ქუსლის ჩაცემას უპირებს. ეს მკითხველისათვის სულ მოულოდნელი შემთხვევაა, მის გრძნობას ეწითარება და მოთხრობის კილოს არ შეეფერება. ამისთანა შედეგს მხოლოდ სულის მძლავრი მოძრაობა გამოიწვევს ხოლმე; პლატონის სულის თავ-გარდასაყალი კი მოთხრობაში უფრო მარტივი და ჭეშმარიულია. აეტროსი ნაზდა და აღუჩნიათ გვესაუბრებოდა და ბოლოს ბეკიანს ოჯახში კარი შეაღო, შიგ მოულოდნელი საზიზღრებო დაგვანახვა და დეგაფეთა. მოთხრობის მეორე ნაწილი საზოგადოთ პირველისთანა ცოცხალი და შემუშავებული არ არის.

დასასრულ ბ. კლდიაშვილის არჩეულ გზაზე წარმატებას დაულოცავთ. ჩვენ განათლებულლებულ საზოგადოებაში ჯერ მხატვრობისათვის ხელ-მოსაჭიდი ტიპები არ ვაჩვენებთ. ევროპიელი აზრი ჯერ ხორც-უსხმელია ჩვენში, — და ევროპიელ ხელოვნურ ტიპებს ჩვენში ნიადაგი არა აქვს. ამიტომ სასიამოვნო სანახავია ჩვენ ხელოვნებელსა და პატრიარქალურ სოფლის ცხოვრებაში შენათებული მხიარული სხვი.

ი. ნ. — შიქი.



ხ ა ნ - დ ა - ხ ა ნ.

(რამ დასცა ჭიათურის შავი ქვის წარმოება?)

წაცუადეი სანახავი არიან შავი ქვის მწარმოებლები! იმთ ტირილ ჩივილს საზღვარი არა აქვს!.. რა დემარათო, რა მოუყვლიდათ? შავი ქვის ფასი დეცა მსოფლიო ბირჟაზე. ამას ტირიან, ამას ჩივიან!.. სატრალიც არის ეს ვარემოება არა მარტო მწარმოებელთათვის; არამედ ყველა შეგნებული ქართველისთვისაც!.. მარა რას გავხდებით ტირილ-ჩივილით? კომერციაში სადა სიბრალოლი!.. აქ, რამ მჭუმუნჯარბუჯო, რას გვარგებს ნაჯადი გრძელთა პანისა?

სჯობს გამოჩნება, აზრობს საქმისა დასკვნისა*.

შავი ქვის ფასი დიდი ხანია (ჭიათურაში რკინის გზის შტოს შეყვანის დროიდან — 1893 წ.) დაწყულ-დაცემული იყო, მარა ასე მწიკვეთ დღემდის არ უფრბენიათ მწარმოებლებს ამისი შედეგი. დღეს ისე მოეწყვა ვარემოება, რომ საუკეთესო მწარმოებლებიც კი შეშინდენ, წახდენ და წარმოება შეაჩერეს! წერილი მწარმოებლებზე ხომ კიდევ უმაღლესი ქიათურიდან. ამ ოცა — ოცდა ხუთი წლის წინათ „შავი ქვა“ საწყევარ - საკრულავი სიტყვა იყო ხალხის პირში, „ეი შენ და შავი ქვა და ნიკარ-ცხელი-ო!“ — ასე წყველიდენ ერთმანეთს. ან კი რა კარგათ მოხასხენებელი იყო იმ დროს შავი ქვა! გარდა იმისა, რომ ის ყოვლათ უსარგებლო იყო, სერიდა და აწერიანებდა ხოლმე. რასაც კი მიეკარებოდა. გვიდა დრო, შავ ქვას ფასი დაემა და სასარგებლო ნივთათ გაღიქმნა. ახლა წყველა ლოკეთ შეიცვალა! დღემდის მოიტანა თეი შავი ქვა სახატრე-დასულ-ეველი ნივთის სახელოთ და დღეს კი ისევ საწყველა-კრულავი ნივთათ ჰლოპის გადაქცევას!.. თუ რაა საქმის ასეთი ვითარების მიზეზი, ამაზე ბევრი ითქმის და დაიწერება, მაგრამ აქ ჩვენ არ

გვაქვს მიზნათ ამ საგნის ვრცლათ და დაწერილებით განვიღო. შემდეგში თუ ვარემოებამ ხელი მოგვიმართა, კიდევ დაეუბრუნდებით შავი ქვის წარმოების საქმეს.

ჭიათურის შავი ქვის წარმოება უნდა გაიყოს ორ ხანათ: პირველი ხანა შეიცავს წარმოებას თავიდან მოკიდებულთ ვიდრე ჭიათურის რკინის გზის გაკეთებამდის, ხოლო მეორე — რკინის გზის გაკეთებამდის დღემდის. 1893 წელს დეკემბერში პირველათ დაისტენა ჭიათურაში ორთქლით მავალმა და ამცნო არე-მარეს შავი ქვის წარმოების ბედ იღბლის შეცვლა. ეინ იცოდა, რომ პირველი სტენა ორთქლით მავალისა ყორნის ჩხავილზე უფრო უბედურების მომავლინებელი იქნებოდა შავი ქვის წარმოებისათვის! ეს ჩქარა გამოაშკარადა.

ჭიათურაში რკინის გზის შტოს შეყვანამ გააადვილა ქვის გადატანა და ამასთან ერთათ შეამცირა ხარჯებუ. წინეთ ჩალვადარ-მეურნეების საშუალებით გადადიოდა შავი ქვა რკინის გზის სადგურ ყვირილამდის, საიდანაც ვაგონებით იგზავნებოდა ხოლმე ფოთში. ამგვარ წარმოებას, რასაკვირველია, არ ექნებოდა ერთი ვარკვეული კალაპორი. დარ-აედარს, ზამთარ-ზაფხულს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მამინ წარმოებისათვის. რკინის გზამ ჩამოაშორა წარმოებას ასეთი შემთხვევითი ხასიათი და მისცა მას უფრო მკვიდრი და მუდმივი მიმდინარეობა. წინეთ თუ ერთი ფუთი ქვის ჩატანა ჭიათურიდან ზესტაფონამდის (იგივე ყვირილა) 25 კაბეკათ ჯდებოდა საშუალო რიცებით, დღეს ამას 11 კაბეკის მტვი (10 კ. რკინის გზის ტარიფი და 1 კაბ. სხვა ხარჯები) არ უნდა. სამაგიეროთ ქვის ფასმაც დაიკლო საზღვარგარეთ. ევროპის მექარხნეები წინეთ თუ 16 — 17 პენსს (პენსი უფროსი კურსით თითქმის 4 კაბეკის) იძლეოდენ, ახლა 10¹/₂ — 11 პენსის მტვს აღარ იძლევიან ერთ ნასალ მტვლზე ტონში *) (ტონნი — 62 ფუთი). აქ ყურადღების ღირსია ის ვარემოება, რომ ადგილობრივ ხარჯების შემცირება და ფასის დაკლება თანაბრათ, პროპორციალურათ არ მომხდარა: ფასი ვაცილებით მეტათ დაეცა, ვიდრე ადგილობრივი ხარჯები შემცირდა.

ჭიათურაში რკინის გზის შტოს შეყვანას შედეგათ მოჰქვა ქვის მწარმოებელთა რიცების გამარჯვლება. წინეთ ცოტა ფულის პატრონს არ შეეძლო ზესტაფონის საწყობზე თვის ხარჯით ქვის დაყრა და შემდეგ გაყიდა; ჭიათურაში კი ეს შესაძლებელი გახდა. ეინ გინდა, რომ ჭიათურაში თვის საკუთარი საწყობი არ ჰქონდეს გამართული! მეფარლოვ, მე-

*) За металлическую единицу в тоннѣ.

წერილზე, მიკიტანი, დალაქი და სხვა ამისთანები თავის ხელოვანთან ერთად ქვასაც აწარმოებენს.. ბევრ-მა წერილათ მწარმოებელმა ბევრი ქეცუ და მზადად წინეთ თუ ნ—ს მილიონი ფუთი ქვის და მზადება და გადატანა გასაქირი იყო წელიწადში, ახლა ოცი მილიონის და მზადებაც ადგილი შეიქნა. მართლაც და ამ უკანასკნელ წლებში ქიათურის შავი ქვის მად-ნებში მზადება წელიწადში არა ნაკლებ 14—15 მილიონ ფუთისა. მერე სად აქვს გასაყავა ამდენ რაოდენობას? სამზღვარ გარეთ ქიათურის შავი ქვის მოთხოვნილება ჯერ-ჯერობით წლიურათ ათ თერთ-მეტ მილიონ ფუთს არ აღემატება. ამ რაოდენობის ნახევარზე მეტს თითონ ის მწარმოებლები ამზადებენ, რომლებიც პირ-და-პირ საზღვარ გარეთ გზავნიან ქვას, რაღა დარჩათ უზრიც? წერილ და შუათანა მწარმოებლებს, რომლებიც ადგილობრივად ჰყიდიან ქვას? აქ ამკარათ გამოჩნდა, რომ შეძლებული ჩაგოვდა შეუძლებელს. ამ გარემოებამ წერილ და შუათანა მწარმოებელ—მემამულეთა შორის დაბადა შეერთებ-შეგამხანაგების აზრი. სამი წლის განმავლობაში შედგა სამი-ოთხი ამხანაგობა. ეს ამხანაგობანი გაუხდენ მეტოქეთ, კონკურენტათ მსოფლიო ბირჟაზე იმ მწარმოებლებს, რომლებიც ამ ამხანაგობათა წევრებს ჩაგრაოდენ. შეიქნა ბრძოლა! თითქმის ყველამ თავი შეაკლა ამ ბრძოლა-მეტოქობას, მაგრამ ზოგიერთები მაინც კიდევ გადარჩენ ცოცხალ-მკვდრები; ხოლო არმა-სამმა ამხანაგობამ კი სულ განუტევა მრავალ-ტანჯული სული. დარჩა ახლა ერთ-ლა, სხვებზე გვიან შემდგარი, კავკასიის შავი ქვის მწარმოებელთა ამხანაგობა; რომელშიც ირი-ტებმა 150 მეტი წევრი. ეს ამხანაგობა წელიწადში ხუთ მილიონ ფუთ ქვას ამზადებს და ავზავნის საზღვარ გარეთ და, რაღა თქმა უნდა, დიდ ძალის წარმოადგენს შავი ქვის წარმოებაში, მაგრამ, სამწუხაროთ, როგორც ჩანს, მისი საქმეებიც აწეწილ-დაწეწილი უნდა იყოს.

ჩვენი მწარმოებლების თვალუჭერლობამ და უკიდურესმა ქიშობა-მეტოქობამ ბოლო მოუღო შავი ქვის წარმოებას. წინეთ 7—8 კაზ. მოგება რჩებოდათ ფუთზე; შემდეგ თან-და-თან იკლო და ჩამოვიდა კაპეი ნახევარზე და კაპეიზე; ახლა კაპეიციც გაჰქრა და პირ-იქით წასადგენსაც თხოვლობს.. იმ ზომამის დაცვა ქვის ფასი, რომ დღეს ფუთი ქიათურაში 5 კაზ. იყიდება! მერე რამდენათ უჯდება გამყიდველს ფუთი ქვა ქიათურის საწყობზე? ხუთ კაპეიცი.. აქ სადღაა მოგება?!

შავი ქვის წარმოების დაცემა-გაფუჭების საქმეში, დაუფარავათ უნდა ეთქვას, დიდი ღირსი მიუძღვით ქიათურაშივე ქვის მწარმოებელ ბერძნებს.

ამათ იმეცადინეს მსოფლიო ბირჟაზე რომ ქიათურის შავი ქვის ფასი დაცემულიყო. ბევრიც ვაჟიდეს თვითონ იაჟ ფასათ და, უცხონდათ მამა, ბევრიც მოიგეს რა არის იმათი არსებობა ახლა შავი ქვის წარმოებაში? მომავლედ კაცს მოგვაგანებენ სასიკეთლო ცხედარზე სხვებისთვის სასაკილოა იმათი საქმე, ხოლო მათთვის კი ცხარე ცრემლით სატრიალი!

ზემოთ მოხსენიებულ შავი ქვის წარმოების დამცემ მიზეზებს ზედ დავთრო კიდევ ერთ ახალი, მაგრამ ყველაზე საშიშარი, მიზეზიც. ამ ბოლო დროს ბევრ ადვილას აღმოჩნდა კარგი ღირსების შავი ქვის მადანი. დღეს, მაგალითათ, კონკურენტისა უწევს ქიათურის შავ ქვას ჩილას (ამერიკაში), იაპონიის ინდოეთის და სამხრეთ რუსეთის შავი ქვა. თუ დროზე არ მიექცა ყურადღება ქიათურის შავი ქვის წარმოების დღევანდელ ვითარებას,—დასაწყებელი ქვეყნების ქვა სულ წართმევს ბაზარს ჩვენებურ ქვას და სამუდამით მოუღებს ბოლოს. ასეთ საშიშარ მდგომარეობაში იმყოფება შავი ქვის წარმოება, მაგრამ ეინ არის მისი პატრონი!.. ჩვენებურ მწარმოებლებს რა მოეთხოვებათ, რაც არ იცანს!..

ეინ არიან შავი ქვის ჩვენებური თავი მწარმოებლები? გუშინდელი მკვდელი, გუშინწინდელი მეფურნე, სამსახურში მოხუცებული და გათავისუფლებული მოხელე („ჩინოვნიკი“) და ამისთანები. ამათ რა გავება უნდა ჰქონდეთ კომერციაში? თავი დაენებოთ იმას, რომ ამათ თითქმის სრულგებით არ იცანს, თუ რა და რა საფეხურები უნდა გაიაროს საზღვარ გარეთ იმათმა საქანელმა,—აქაური ანვა. რიშების გავაგებუ კი არ აქვთ!.. სხვა კი არა დარისიც არ იცანს ჩვენებურმა მწარმოებლებმა, თუ როგორ იქვირთება ფოთის ნეთ-საღვურში გემები იმათი საქონლით, რა ხარჯები უნდება გავზავნის დროს და სხვა!.. ყველა ამ სიყუთისთან ზოგიერთი იმათგანი ბერძნებთან არიან შეამხანაგებული და, რასაკვირველია, იმათ ფერხულშიც ჩაბმული არიან. აი, ასეთი პატრონობა ჰყავს ქიათურის შავ ქვას! კიდევ კარგა, რომ უცხოელი შავი ქვის მწარმოებლებიც არ არიან დიდი ეინმეები, თვარა მაშინ ხომ სულ პირში ჩალა ამოვლებულს დატოვებდენ ისინი ჩვენებურ მწარმოებლებს!

აქ თავი მოეფყაროთ ყველა ზემოთ დასახელებულ ქიათურის შავი ქვის წარმოების დამცემ-დამაქვიებელ მიზეზებს. აი, ესენი: 1) ქიათურაში რკინის გზის შეყვანის მეოხებით ადგილობრივ ხარჯების შემცირება და საზღვარ გარეთ არა თანაბრათ, არა პროპორციულრათ ხარჯების შემცირებასთან შედარებით ქვის ფასის დაწვეა. 2) მწარმოებელთა რაცხვის გამარყვება და ამის გამო საზღვარ გარეთის მო-

თხონილგებზე ზედ მეტი ქვის რაოდენობის დაზა-
დება. 3) მწარმოებელთა შორის უკიდურესი მეტო-
ქობა, კონკურენცია მსოფლიო ბარკაზე. 4) სხვა
ქვეყნებში შავი ქვის მადნის აღმოჩენა და 5) რო-
გორკ გვირგვინი ყველა ამ მიზეზთა, —ჩვენებული
მწარმოებლების უფიქობა და გამოუღვლეობა.

ჩვენ აქ არ ვილაპარაკებთ იმაზე, თუ რა ზომე-
ბის მიღება შეიძლებოდა დღევანდის კვათერუს შვე-
ქვის წარმოების განწეს-რიგებისათვის. ბევრი ზომა და
საშუალება გამოიჩინებოდა ამისთვის, მარა ამაზე თა-
ვი არავის შეუწყუხებია!.. ნეტავი როდის დადგება
ჩვენში ის სანეტარო დრო, როდესაც ლეთის ანაბა-
რათ არ იქნება მიკედული საზოგადო და სასარგებ-
ლო საქმეები? შორს, კიდევ შორს არის ეს დრო!..
ამ დროს, ჩემო მკითხველო, ვვანებ, მე და შენ
ვერ მოვესწრებთ და ამიტომ ჯობია ჩვენი სათქმე-
ლი ახლადე ეთქვათ... გამოაბრუნებს, უშველის რა-
მე კვათერუს შავი ქვის წარმოებას? რატომ არა?
მაგრამ ამაზე შემდეგ წერილში.

ჭაღარა.



ცხოველთა შთანაჩენის განვითარება.

II ა).

სარწმუნოება და ცოდნა სრუ-
ლებით სხვა-და-სხვაობენ, ორ-
ვე სხვა-და-სხვა გზას ადგას.
ორვე სასწრაოს მოგვაგონებს,
რომლის ერთი ბოლო დაიწვეს
ხლომე მამს, როცა მეორე აი-
წვას.

ბიუნერო.

ლებული: სთავიზაო მეცნიერება და ბიოლოგია.
პირველი სწავლობს, იკვლევს უბრალო ბუნებას,
უორგანო სხეულთა თვისებას, მათ საურთიერთო
დამოკიდებულებას და მათ ძალთა სხვა-და-სხვა გვა-
რათ თავის ჩინას. მეორე კი ცოცხალ არსებათ, ორ-
განულ ბუნებას, იძიებს. ორგანული ბუნება შეიცავს
მცენარეთა და ცხოველთ ადამიანთურთ. ის ნა-
წილი ბიოლოგიისა, რომელიც მცენარეთა ზრდა-
სა და განვითარებას იკვლევს, არის ზოტანაგა; ხო-
ლო ის ნაწილი კი, რომელიც ცხოველთა ყოფა-
ცხოვრებას, ეთარებას, აგებულებასა და განვითარე-
ბას იკვლევს, არის ზოოლოგია. რაღვე შინაარსის
და საზბიელი ზოოლოგიისა ფრიალ ვიცეული და
ფართოა, ამიტომ, კვლევა რომ უფრო იოლიათ და
ადვილიათ წარმოებდეს, ზოოლოგია, თავის მხრით,
რამოდენიმე მეცნიერებათ არის განაწილებული. ამ
მეცნიერებათა აქ ჩამოთელა მეტი იქნება. დეასახე-
ლებთ კი მხოლოთ ზოოლოგიის ერთი, ამ ნაწილს,
რომლის კვლევის შედეგი მოკლეთ აქ მკითხველს
უნდა წარუელდინოთ. ამ ნაწილს, ამ მეცნიერებას
წარმოადგენს ეუმბიოლოგია, ანუ სწავლა იმაზე, თუ
რანაირათ ვითარდება და რა ცვლილებათ განიცდის
ცხოველთა შთანაჩენა, ეუმბიონი, ვიღრე იგი ნამდ-
ვილ ზრდის 2) პროცესს დაადგებოდეს.

უეკველია, ცოცხალი, ორგანული არსება უორგანო
სსუელთაგან გამოირკვა და განვითარდა. მაგრამ ჯერ
მეცნიერებამ ვერ მიავნო ამ საიდუმლოებას და ხი-
ლი, უორგანო და ორგანულ არსებათა შემავრთებე-
ლი, ჯერ ნახული არ არის. ვინ იცის, იქნება ძლე-
ვა-მოსილომა მეცნიერებამ ამის გავებაც კი მოახერ-
ხოს ოდესმე. ეს იმედი ახლა ისე ფუყე და სათურა
როდია. დალი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც მეც-
ნიერები დარწმუნებული იყვენ, რომ ორგანული
ნივთიერებანი (ე. ი. ის ნივთიერებანი, რომელთაც ამ-
ხადებენ მონებლებულ საზრდოსაგან თავის სხეულ-
ში ცოცხალი არსებანი) რაღაცა საიდუმლო „ქრო-
ველყოფელი ძალის“ მეოხებით მზადდება ორგა-

მთელი ბუნებას, ანუ მსოფლიოს იკვლევს და
იძიებს ბუნების მეცნიერება. მაგრამ რადგან
მთელი ბუნება ცხადთ განიყოფება ორ დიდ
რიკათ 1) უორგანო და ორგანულთა, — ამიტომ ბუ-
ნების მეცნიერებაც ორ დიდ შტოთ არის განაწი-

2) მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ ზრდა სხვა
არის და განვითარება გავეკ სხვა. ზრდის პროცესის
დროს ცხოველის სხეული მსოფლიო ტანს, სიდიდეს მ-
ტულობს. აქ მეტე ცვლილება არ სდება-რს. შავ, პავ-
ში რომ დაიბალება, შექვევ იგი მსოფლიო იზრდება, ტა-
ნი მისი სისრულესა და სიდიდეს იქენს და მტულობს.
განვითარების პროცესის დროს გა აგებულება, შენობა
განიცდის სოდე ცვლილებათ. პირველი პროცესი წარ-
მოადგენს ტანის ზრდას, მეორე კი აგებულებისას.
უკანასკნელი პროცესი უქვევ დასრულებული და გაჭარბო
აქვს პავში დაბადების დროს.

*) ის. „ველი“, № 10.

1) სხეულსა კი მთელ ბუნებას სამ რვათ ჭყოფს:
უორგანო, ორგანულ და ზე-ორგანულთა. უკანასკ-
ნელ რვათ კეუთენის ადამანთა საზოგადოება. მეცნი-
ერება, რომლის საიბუქელია ეს მესამე რვათ, არის სო-
ციოლოგია.

ნულ არსებშია და ამ ნივთიერების წარმოშობა ქიმიური პროცესით შეუძლებელია. მაგრამ ეს რწმენა დიდს უკვე სტორიის კუთვნილებას შეეგნა. მიერთსმოც წილებში ქიმიურთა ლაბორატორიაში იქნა მომზადებული ცილა. ცილა კი ნიშნობლივი ორგანული ნივთიერება და ფრიად რთული შედგენილობა აქვს. ასეა თუ ისე, ჩვენთვის ამ ჯამით ეს იმდენათ საგულისხმოც არ არის. ჯერ-ჯერობით კი ორგანული არსება ძალზე განსხვავდება, ნიშნობლივი თვისებით განირჩევა უორგანო, ფიზიკური სხეულისაგან. ორგანული არსება, განვითარების რა საფეხურზედღე უნდა იდგეს უსათუთო იგეგუბს. იგი გარეშე არსაგან საკეებს, საზრდოს ღებულობს; უკანასკნელს ასე თუ ისე მოინელებს ხოლმე თავის სხეულში, შეითერსებს და ამით ცოცხლობს. უსაზრდოვით არც ერთ ორგანულ არსებას სი ცოცხლე არ შეუძლია: იგი მოკვდება ხოლმე, ე. ი. დაიშლება და ქიმიურთა განაწილებს. მეორე ნიშნობლივი თვისება ორგანული არსებისა ის არის, რომ მას ჯადისაინების უნაჩა აქვს. ამ თვისების წყალობით ორგანული არსება იგრძნობს ხოლმე საზრდოს, მტრისა თუ მოყერის დახლოებებს და თავის მხრით შესაფერათ მოძრაობს: საზრდოს ჩაპყლაპეს, მტერს კი ცოლიობს თავი დააღწიოს. ამის მისაღწეოთ კი ზოგი არსება გაიქცევა, ზოგი მოიკუმშობს, ზოგიც მტერს საწამლოვ სითხეს მისახამს შინა მოიშორებს. ერთი სიტყვით, ორგანული არსება სასამოერუნა და სასარებლოსავე მისწრაფის, თვით დაეძებს, მაწენებლსა და საზიანოს კი გაუტრბის.

მესამე თვისება, ორგანული არსების დამახასიათებელი, არის წარმოშობით გამრავლება. უორგანო სხეული ღიდ ხანს არ იშლება და ორგანულ არსებასთან შედარებით იგი უფრო მარად-მყოფია. ამ მიზანს კი, ე. ი. მარად-მყოფობას, საუკუნოების განმავლობაში თავის დაცვას ორგანული არსება წარმოშობით მიადწებს ხოლმე. ადვილათ მისახვედრია, რომ, თუ არ ამ თვისებით, შეუძლებელი იქნებოდა ორგანული ბუნების განვითარება, წინ-სწაოდა. მაშასადამე, — აქვე აღწინშნოთ, რომ წარმოშობით გამრავლება ორგანული ევოლუციისათვის ³⁾ აუცილებელი პი-

რობას, უსაკიროცს საფუძველს, ნიდაცს წარმოადგენს. ცოცხალი ანუ ორგანული არსება აუცილებლობათ, უსათუთო წარმოშობილია მეორე ცოცხალი არსებისაგან. მესამოცე წლებამდის კი ევგენთა, რომ ცოცხალი არსება, ნამეტურ პატარა ცხოველები (ინფუზორიები), ვითომც თავის-თავათ იბადებოდა ჩნდებოდა, საცა და როცა გარეშე პირობა ამას თუ ისე ხელს შეუწყობდა, მაგრამ პასტერის გეოევიამ ეს საკითხი ყოველ ევეს გარეშე დააყენა, რომ ცოცხალი არსება არ შეიძლება იმდენად, თუ არ ცოცხალისად არსებისაგან იღიბანა, ნათქვამია: omne vivum ex ovo (რაც ცოც-

დასა, აზოტის და ნახშირბადისაგან. აგრეთვე მესუთო ელემენტრე შედის ცილაში — გოგირდი. ამ ელემენტრეს, გარდა წყალბადისა, ბუკნი ატომობის თვისაპა აქვთ, ე. ი. თითოეულ მათგანს შეუძლია შეიწუხოს, ქიმიურთა შეერთობა რამდენიმე ატომი სხვა ელემენტისა; მაგ. წყალბადის. ეს გარემოება, ეს თვისება კი, სომს ხელს უწყობს, რომ მატერიაში ნივთიერებას თავი მოაყაროს, ერთ ადგილას შეიკრბოს. უნალო, მატრე ელემენტრეს შეუძლიათ ორი სხვა-და-სხვა სხე, ფორმას მიიღონ. ასეთ მით თვისებას ეწოდება ალოტროპობა. მაგ., გოგირდი და ფოსფორი ალოტროპული თვისების მქონენი არიან. ეს მოკლეა კი უფრო სწორი და გარტყეულია ორგანულ ნივთიერებათა შორის. მაგამ აქ ნივთიერების ამ თვისებას იზომებოდა ეწოდება, იზომებობის ბრალად, რომ მოახოება ორი ან რამდენიმე ნივთიერება თინაკურთ თვისებით ერთმანეთასაგან განსხვავებული, თუმც ქიმიურთა ისინი სრულ მსგავსებას წარმოადგენენ. ეს ორი, ან რამდენიმე ნივთიერება შემდგარია ამავე ელემენტებისაგან და ამიტომ ამავე რაოდენობისაგან. ცხადია, ორგანული ნივთიერების ეს თვისება დიდ დახმარებას გაუწევს ხოლმე დიფერენციაციას შროცესს. მაგარ სხეული ორგანობა. იგი ან ბრალიად და ან კოლოიდად, ე. ი. ხადების მატერია. ბრალი გარეშე ძალის გავლენის, გამო ან გატყეება, ან დაიმხვრეება, ან დაიფხვება სოლოე-კოლოიდი, ხადგის მატერია ნივთიერება კი ამავე ძალის გავლენისა გამო გაიწეება ან ჩაიჭვდებიტება სოლოე. ორგანული ნივთიერება, მაშასადამე, უფრო მეტი პლასტიური თვისების მქონე ყოფიდა. აქედან აგრეთვე ცხადია, რომ ეს თვისება მიაღწე შედგას ორგანულ ევოლუციისა, რომ ნივთიერება შენაწილება, დიფერენციაცია გამოიწვიოს, მოახდინოს. მაშასადამე, ორგანული ნივთიერების სამი უსთერესი თვისება: იზომებობა, კოლოილობა და ბეტერტომობის მექონე ელემენტრეაწა შედგენილობა — ფრად აადვილებს ნივთიერების ანტიგარცას დიფერენციაციას, და ხელს უწყობს ორგანულ ევოლუციას.

³⁾ ორგანული ნივთიერების შემდეგი თვისებანიც დახმარებას უწევს, ხელს უწყობს ორგანულ ევოლუციისა. ეს უკანასკნელი ბრტყესა წარმოადგენს ორგანული ნივთიერების თავმოყრას, ანტიგარცას და ამავე დროს ამ ნივთიერების განსწელებას, დიფერენციაციას. ორგანული ნივთიერება კი სწორთ შედგამოქონიდა და შესამეებულია ამ ბრტყესთან. ორგანული ნივთიერება შედგება შემდეგი ელემენტრებისაგან: წყალბადისა, მყავბა-